

გამოდის 1993 წლის მარტიდან  
2000 წლის მარტიდან გამოდის თვეში ორჯერ

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:  
WWW.opentext.ge/menora

# მენორა

# הננו

ებრაული გაზეთი საქართველოში	<b>"מנורה"</b>	“МЕНОРА”
MENORA JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA	<b>עיתון יהודי</b>	ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ
	<b>הגורן</b>	

ოქტომბერი (ბეშვანი) 1-15 №19 (283) (5769 წელი) 2008 წელი ფასი 50 თეთრი
------------------------------------------------------------------------------------------

## პრაზიდენტ შიმონ პერესის მილოცვა მსოფლიოს ებრაელებს რომ ჰაზანასთან დაკავშირებით



ისეთი პატარა ქვეყანა, როგორც ისრაელია, დიდებს სხვა ასპექტში უნდა ეძებდეს. ამიტომ მას უნევს სულისა და რწმენის გაძლიერება, სიახლისკენ სწრაფვა და მეცნიერების ახალი შესაძლებლობების აღმოჩენა.

დასაბამიდან, მიუხედავად წყლისა და მინის დეფიციტისა, ისრაელმა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული და სიცოცხლისუნარიანი ეკონომიკა შექმნა. ქვეყნის ტერიტორიისა და დემოგრაფიისთვის არაპროპორციული გამოწვევებისა და არსებობისთვის საფრთხის მიუხედავად, ისრაელი არ შედრკა. ეს მოხერხდა უდიდესი ადამიანური რესურსისა და სამხედრო მხნეობის მობილიზაციის წყალობით. ისრაელმა არაერთხელ დაამტკიცა დემოკრატიული განვითარებისაკენ სწრაფვა.

არსებობის სამოცი წლის მანძილზე ისრაელმა შვიდი ომი გადაიტანა. ომში გამარჯვებამ ისრაელს შესაძლებლობა მისცა, წარმატება მოეპოვებინა მშვიდობისათვის ბრძოლაში და სამშვიდობო შეთანხმებებს მიაღწია ეგვიპტესა და იორდანისთან.

დღესდღეობით, ისრაელი მოლაპარაკებებს ეწევა პალესტინელებთან და არ კარგავს იმედს, რომ მშვიდობას დაამყარებს მთელს არაბულ სამყაროსთან.

სიონისტური ხედვის განხორციელებამ სული შთაბერა როგორც ერს, ისე სახელმწიფოს. სახელმწიფოს დაარსებით ებრაელმა ხალხმა ისრაელს ებრაული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების მისია დააკისრა, რომელიც გვაუწყებს, რომ „შექმნა ღმერთთან კაცი სახედ და ხატად თვისად“.

რწმენისა და თიკუნ ოლამის ღირებულებების ერთგული ისრაელი განუხრელად აგრძელებს ხვალისდელი დღის გლობალური გამოწვევებისთვის ხელის განვდენას. ტერიტორიული და დემოგრაფიული სიმცირის მიუხედავად, ჩვენ უნდა გავძლიერდეთ მეცნიერულად და ვემსაუხროთ მსოფლიოს ალტერნატიული ენერჯის ლაბორატორიად, რათა დავაშროთ ის ჭაობი, რომელიც ტერორიზმს კვებავს.

კაცობრიობამ უნდა აწარმოოს წყალი, რათა ადამიანის გაზრდილი მოთხოვნილებები დააკმაყოფილოს, თავიდან აიცილოს წყურვილი და შექმნას ჰარმონიული და დაცული გარემო ადამიანისა და ბუნებისთვის. ისრაელმა ამ სფეროში წარმატებას მიაღწია და კვლავაც განაგრძობს ამ საქმიანობაში ინვესტირებას.

ჩვენ უნდა შევიმუშაოთ სწავლების უახლესი მეთოდი, რომელიც ორიენტირებული იქნება გონიერ ხელსაწყობებსა და შრომის ნაყოფიერების ამაღლებაზე. ისტორიულად, ებრაელი ერის სიძლიერე ცოდნის, სწავლებაზე და ათვისებაში იყო და იქნება.

ჩვენი წარსულით დავამტკიცეთ და სამომავლოდ მოგვინებს დავამტკიცოთ, რომ ებრაელი ერი თანამედროვეობისა და ინოვაციური ტექნოლოგიების ლიდერია. ჩვენ ვალდებული ვართ, შევებრძოლოთ მსოფლიოს წინაშე არსებულ ისეთ გამოწვევებს, როგორცაა ძალადობა და ყოვლისმომცველი ტერორი.

ებრაულ თემებთან მზარდი ნაპრალის ამოსავსებად აუცილებელია დიასპორისა და ისრაელის ახალგაზრდა ებრაელების დაახლოება და მჭიდრო კავშირების ჩამოყალიბება.

ებრაელი ერი მცირერიცხოვანია და ჩვენთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ადამიანისთვის დამახასიათებელი სიდიადის აღმოცენება.

რომ ჰაშანა სამეახ!

## ისრაელის სრულყოფილი და სიყვარული ელჩის — იტხაკ გერბერგის ებრაული ახალი — 5769-ე წლის მილოცვა

მას შემდეგ რაც ისრაელმა 1948 წელს დამოუკიდებლობა მოიპოვა, ბევრ რამეს მივალნიეთ, თუმცა, იმ გამოწვევების გადასალახად, რომელთა პირისპირაც ახლა ვდგავართ, საჭიროა ერთიანობა და გაძლიერება.

საქართველოში ომის ორი თვის თავზე ებრაული ტრადიციული დალოცვა „ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ“, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

ვისწავლოთ წარსულის გამოცდილებისგან და უკეთესი მომავლის იმედით შევხედეთ დამდეგ ახალ წელს.

ბედნიერ რომ ჰაშანას გისურვებთ! ვიმედოვნებ, რომ მომავალი წელიწადი მშვიდობისა და აყვავების წელი იქნება თქვენთვის და თქვენი ოჯახისთვის.

გმარ ხათიმა ტოვა!



იტხაკ გერბერგი

25 სექტემბერი, 2008  
ისრაელის საელჩოს პრესრეპიზი

## გაუპუდ აჰაილინაჰაის გააიოს გაენაღუნ ასაჰაღაჰე აასუნღული გააიოსუნის გააიო

ირანის პრეზიდენტის მიერ გაეროს გენერალურ ასამბლეაზე 23 სექტემბერს წარმოთქმული სიტყვა, რომელშიც იგი საქართველოს, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს, აგრეთვე ნატოს, დასავლურ სამყაროსა და ისრაელს შეეხო, კიდევ ერთხელ აშუღავენებს აჰმადინეჰადის რეჟიმის რეალურ ხასიათს.

აბსურდულია, რომ ირანი, რომელსაც დაკისრებული აქვს გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციები ბირთვული პროგრამის წარმოებისა და ტერორისტული ორგანიზაციების იარაღით მომარაგებისათვის და რომელიც ღიად მოუწოდებს გაეროს წევრი ქვეყნის (ისრაელის) განადგურებისკენ, ითხოვს ადგილს უშიშროების საბჭოში.

საჭიროა, რომ ირანის წინააღმდეგ გამოყენებულ იქნას საერთაშორისო ზეწოლა, მათ შორის, გაეროს სანქციები, რათა ირანი დამორჩილდეს საერთაშორისო თანამეგობრობის მოთხოვნებს.

### 9 ოქტომბერი - იომ ქიფური

მონანიეზისა და შეწყალვის დღე,

აღამიანაჰი ინანიეზან ღვთისა, თუ  
აღამიანაჰის წინაშე ნებსით,  
თუ უნებლიედ ჩადენილ სოღვას.

პატივას სთხოვენ საყაროს შეჰჰენაღს

უმსროსნი დაშეჰული  
შესღოჰაჰისათვის პატივას სთხოვენ  
უფროსავს — "გახილა"

# იონა წინასწარმეტყველის წიგნი



თავი I

და უხმო გამჩენმა იონას, ამითაის ძეს: 2. ადექ, ნინვეს წადი — დიდ ქალაქს. იქ იქადაგებ, რამეთუ მის მკვიდრთა ბნინერებამ ჩემამდე მოაღწია. 3. და ადგა იონა, და გამჩენიდან თარშიში გაქცევა დააპირა. მივიდა იაფოში, იშოვა გემი, მიმავალი თარშიში, გადისადა სამგზავრო ფული და ავიდა გემზე, რათა ღმერთს თარშიმს გაქცეოდა. 4. უფალმა კი დიდი ქარი ამოაგდო. გემი ლამის იყო დაიმსხვრეოდა. 5. შეშინდნენ მეზღვაურნი, ყოველმა მათგანმა თავის ღმერთს შეჰლადა, და იწყეს გემიდან ბარგის გადაყრა მის შესამსუბუქებლად. იონა კი ჩავიდა ტრიუმში, წამონვა და ღრმა ძილით ჩაიძინა. 6. მივიდა მასთან მესაჭე და მიმართა: „რაგაძინებს! ადექ, შენს ღმერთს შეევედრე, იქნებ გაიგონოს ჩვენი და არ დავიღუპოთ.“ 7. და უთხრეს ერთმანეთს მგზავრებმა: „მოდით, წილი ვყაროთ, ვის გამო გვენია ეს უბედურება.“ ჰყარეს წილი, და ხვედრი იონასა ხვდა. 8. და უთხრეს: „შენს გამოგვეწვია ეს უბედურება, გვითხარ, ვინა ხარ, საიდან, რას აკეთებ, რომელ ერს ეკუთვნი?“ 9. მიუგო: „ებრაელი ვარ, ვაფასებ ზეციერ უფალს, ზღვისა და ხმელეთის შემქმნელს“. 10. და ხალხს დიდი შიშით შეეშინდა: „რა გაგიკეთებია? ხალხმა გაიგო, რომ ღმერთისგან გაქცეულხარ, როგორც შენა თქვი. რა გიყოთ ახლა, ზღვა რომ დაწყნარდეს?“ 11. „აიღეთ და ზღვაში მისროლეთ, და ზღვა დაწყნარდება, რამეთუ ვუნყი, რომ ჩემს გამო ბოროტობის ბუნება“. 12. იწყეს ნიჩბის ძალუმად მოსმა ნაპირზე გასაღწევად, მაგრამ ზღვა მათ წინააღმდეგ იყო. ნიავქარი ნაპირზე არ უშვებდათ. 13. და შეჰლადაღეს ღმერთს: „გვედრებით, უფალო, ამ კაცის სულის გამო ჩვენ ნუ დაგვეღუპავ და ნურც მის ცოდვას დაგვაღებ. შენს უფლებასა ჩვენი გადარჩენა.“ 14. აიყვანეს იონა და ისროლეს

ტალღებში, და ზღვა დაცხრა და შესწყვიტა სიშმაგე თვისი. 15. და შიშით განიმსჭვალა ხალხი უფლის მიმართ. მსხვერპლი შესწირეს და ფიცით შეჰფიცეს.

### თავი II

1. და უბრძანა გამჩენმა ვეშაპს იონას ჩაყლაპვა, და სამი დღე-ღამე იმყოფებოდა იონა ვეშაპის მუცელში. 2. და ილოცა იონამ გამჩენზე ვეშაპის მუცლიდან. 3. და სთქვა: „ღმერთს მოვუნოდე მწუხარების ჟამს, და მიპასუხა, ქვესკნელი-



დან შევლა ვთხოვე — და ყურთ ილო ჩემი ღალადება. 4. შენ მიტყორცნე გაუსაძლის ადგილას — ზღვის შუაგულში, და ტალღანი შემომხვევიან, წყლებმა დამფარეს. 5. და ვთქვი: დამვორიდე მის თვალთახედვიდან, მაგრამ მაინც ვიხილავ შენ წმინდა ტაძარს. 6. წყალმა მთლიანად ჩამითრია, ქვესკნელმა ჩამიხვია, წყალმცენარემ თავი დამიბურა. 7. მთებიდან გადავიყრავდი, მინამ ცხრაკლიტურში მომამწყვდია, შენ კი უფალო ღმერთო, ჩემს სულს ჯოჯოხეთიდან გამოიყვან. 8. სული რომ დამიუძღურდა და უსასობას მივეც, უფალი გავიხსენე, და ჩემმა ლოცვა-ღალადებამ მოაღწია შენს წმინდა ტაძრამდე. 9. ის, ვინც ამოიდა ცრუ ღმერთებს ემსახურება, იკლებს შენს წყალობას. 10. მე კი ხოტბის სიტყვებით სანირველს შემოგწირავ, რასაც შეგპირდი, შევასრულებ. შევლა შენს ხელთა!“ 11. და უბრძანა გამჩენმა ვეშაპს, და

ვეშაპმა იონა ხმელეთს გაიტყორცნა. 10. და იხილა ღმერთმა საქმენი მათი, რომ უწმინდურობის განხელი აღეს და ინანა, რომ ასეთი უბედურების დატეხვა უნდოდა მათ თავზე, და შესცვალა მათი განაჩენი.

### თავი III

და უხმო გამჩენმა იონას გამეორებით: „ადი, ნინვეს წადი — დიდ ქალაქს, იქ იქადაგე, რაიც მე გიბრძანე“. 3. ადგა და გაეშურა ნინვეს, როგორც უფალმა დაავალა, ნინვე კი ვრცელი ქალაქი იყო — სამი დღის სავალი სიგრძე-სიგანეში. 4. და შეუდგა იონა ქალაქში როინს. მთელი დღე იარა, თან ქადაგებდა: „კიდევ ორმოცი დღე და ნინვე განადგურდება!“ 5. და ირწმუნეს ნინველებმა ღმერთი: გამოაცხადეს მარხვა, ძაძებში შეიმოსნენ დიდი და პატარა. 6. ნინვეს მეფის ყურსაც მისწვდა ეს ამბავი — წამოდგა ტახტიდან, მოიძრო სამეფო სამოსელი, გაეხვია ძაძაში და ნაცარში ჩაჯდა. 7. და თადარიგი გასცა, ეუნყებინათ მოსახლეობისათვის მეფისა და დიდებულთა სახელით, რომ არც ხალხს, არც საქონელს, არც კამეჩსა და ცხვარს არაფერი ეჭამათ, სამწყსოზე არ გასულიყვნენ და წყალი არ ესვათ. 8. ყველა ძაძებში იყოს — კაციცა და პირუტყვიც და ბუღბოყვით ასძახონ ღმერთს და ყველა ავ გზას მოშორდნენ და ძალადობისაგან ხელი აიღონ“. 9. „ვინ უწყის,



იქნებ ღმერთმა გადაწყვეტილება შეცვალოს, გვაცილოს თვისი რისხვა, წყალობა გაიღოს ჩვენთვის და არ დავიღუპოთ!“

### თავი IV

იონა ნანყენი დარჩა, გაჯავრდა. 2. ილოცა უფალზე: „განა მეც ამას არ ვიძახდი, ჩემს ქვეყანაში რომ ვიყავი? მიტომაც გავიქეც თარშიში, რამეთუ ვიცოდი, უფალო, რომ შენ გულმონყალე ბრძანდები, ფრიად დამთმენი და უხვად მონყალე, და დაინანებ მათ განადგურებას.“ 3. ახლა კი ღმერთო, უკეთესია სული წაიღე ჩემი, სიცოცხლეს მირჩევნია.“ 4. და უხმო გამჩენმა: „ნუთუ ასე ძალიან გწყინს, რაც მოხდა?“ 5. და დასტოვა იონამ ქალაქი და ჩამოვიდა მის აღმოსავლეთ მხარეს, გაიკეთა ფანჩატური და მის ჩრდილში დაისვენა, რათა ეხილა, რაც ქალაქს გადახდებოდა. 6. და აღმოაცენა გამჩენმა მცენარე, და მან იონას თავს ზემოთ ტოტები გაშალა, რათა დაეჩრდილა იონა, თან მისი სიბრაზეც დაეცხრო. იონას ფრიადი სიხარული მოჰგვარა ხის აღმოსვლამ. 7. და ღმერთმა ისე მოახდინა, რომ მეორე დღეს თენებაზე ჭიამ მცენარე გამოხრა, და მცენარე გახმა. 8. პაპანაქება ჩამოდგა, ღმერთმა ცხელი ქარი ამოაგდო და მზემ იონას თავზე დააცხუნა. იონა შეუძლოდ იყო და სიკვდილი ინატრა: „სიკვდილი მირჩევნია ამისთანა სიცოცხლეს.“ 9. და უხმო გამჩენმა იონას: „ნუთუ ასე დაგწყდა გული მცენარეზე?“ იონამ მიუგო: „სასტიკად.“ 10. გამჩენმა უთხრა: „შენ გული გწყდება მცენარეზე, რომელზეც ოფლი არ დაგიღვრია და არც გაგიზრდია, რომელიც ერთ დღეს აღმოცენდა და იმ დღესვე დაიღუპა.“ 11. „რალა მეთქმის ნინვეზე, ამოდენა ქალაქზე, სადაც ასოცი ათასზე მეტი კაცი ცხოვრობს, მარჯვენა რომ მარცხენისაგან ვერ გაურჩევიათ და უამრავი საქონელი?“



—ბატონო აბრაამ, „მენორა“-ს მკითხველი კარგად გიცნობთ, ამიტომაც აინტერესებს თქვენი ბიოგრაფია. იქნებ, მოკლედ მაინც გაგვაცნოთ თქვენს მიერ განვლილი ცხოვრებისეული გზა.

—მე ვარ აბრაამ მიხაელი. დავიბადე 1957 წელს სამტრედიის რაიონში, სოფელ კულაში, 14 წლამდე საქართველოში ვცხოვრობდი — 1971 წლის ივნისის ბოლოს მთელი ჩვენი ოჯახი ავედით ისრაელში. ისრაელში სკოლის დამთავრებისთანავე სამხედრო სამსახურში წავედი, ვმსახურობდი სატანკო ბრიგადაში. სამხედრო მოვალეობის მოხდის შემდეგ სწავლა დავიწყე უმაღლეს სასწავლებელში — ჩავაბარე თელ-ავივის ბარ ილანის სახელობის უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე. აღსანიშნავია, რომ მე ვიყავი პირველი ქართველი ებრაელი, რომელმაც ამ უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე დავიწყე სწავლა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ რამდენიმე ხანში მივიღე ადვოკატობის უფლება. 22 წელი ვენეოდი ადვოკატურ საქმიანობას. 2006 წლამდე მქონდა საკუთარი კერძო საადვოკატო ოფისი.

—ჩვენთვის ცნობილია, რომ თქვენ საკმაოდ წარმატებული საადვოკატო პრაქტიკა გქონდათ. რატომ შეიცვალეთ იმიჯი?

—არა, იმიჯი არ შემიცვლია. 2006 წელს ისრაელში ტარდებოდა ქნესეთის არჩევნები. რელიგიური პარტია „შასის“ ხელმძღვანელობის თხოვნის შედეგად, დავთანხმდი კენჭი მეყარა „შასის“ სიით. ეს იმანაც განაპირობა, რომ „შასის“ და საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის აზრი ერთმანეთს დაემთხვა. აქაც მიიჩნიეს, რომ მე უნდა გავმხდარიყავი პარლამენტის წევრი. საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, აგერ უკვე ორნახევარი წელია ვარ პარლამენტში — 2006 წლის მარტიდან.

—ქნესეთში რა დატვირთვა გაქვთ?

—ვარ სამი კომისიის წევრი, ესენია: კანონთა და კონსტიტუციის მომზადების კომისია, აბსორბციის კომისია, ტექნოლოგიის და მეცნიერების განვითარების კომისია. პარლამენტი მუშაობს სისტემატიურად. ჩვენთან კომისიების მუშაობა ძალიან მნიშვნელოვანია. რადგან ისინი ეწევიან სხვადასხვა საკითხების კონტროლს. ეს კომისიები არდადეგებზეც კი მუშაობს. ამის გარდა, კიდევ ვარ 4 კომისიის წევრი. აბსორბციის საკითხში ხშირად გვაქვს პრობლემები. მე და ქნესეთის წევრი ზეევ ელკინი ვხელმძღვანელობთ ბავშვთა აღზრდის საკითხს, ჩვენ წამოვაცყენეთ იდეა და ჩვენივე ხელმძღვანელო-

**აბრაამ მიხაელი:**

**საქართველოში ომის დღეებში ჩემს ოფისში გახსნანი დახმარების შტაბი**

როგორც უკვე ვიხსენებოდა, საქართველოში საქართველოში იყოფა ორმა ისრაელის საპარლამენტო დელეგაცია. ქნესეთის სპიკერის დელია იციკის ღვაწლით, საპარლამენტო დელეგაციას მეთაურობდა ბ-ნი აბრაამ მიხაელი (მიხაელაშვილი). „მენორა“-ს ჯორჯიანის შტაბი აბრაამ მიხაელს და რამდენიმე ხიტხვა დაუსვა:



მარცხნიდან: აბრაამ მიხაელი, იული ედელშტეინი, დანიელ დავითაშვილი, ლეონ ლიტინსკი

ბით ისრაელის სკოლებში შეიქმნა ბავშვთა აღზრდის კომიტეტები. ეს კომიტეტები ძალიან სიცოცხლის უნარიანი გამოდგა, მჯერა პერსპექტივაში იგი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში.

—ეს ყველაფერი ერთობ მნიშვნელოვანია, მაგრამ ალბათ, ამით არ შემოიფარგლება თქვენი საქმიანობა. როგორც წესი, პარლამენტის წევრს ხშირად მიმართავენ თავ-თავიანთი პრობლემების გადასაჭრელად. წლის დასაწყისში ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა ერთ-ერთი მკითხველის წერილი, რომელიც მაძლობას გიხდიდათ მისი ავადმყოფი მამისადმი ოპერატიულად გამოჩენილი ყურადღებისა და დახმარებისათვის.

—ეს ძალიან სასიამოვნოა. ზოგჯერ კი მაძლობის თქმაც ავიწყდებათ. მას შემდეგ, რაც პარლამენტში შევედი, მაქსიმალურად ვცდილობ ყველას დავეხმარო, მაგრამ რასაკვირველია, ყველას ყველა პრობლემას ვერ გადაუჭრი, თუმცა, ჩემი პარტია ნდობის ისეთ მანდატს მაძლევს, რომ მე შემიძლია საქართველოში ჩამოსვლა და აქაური ებრაელების დახმარებაც კი. ნებ-ისმიერ საკითხში, რაშიც შევძლებ, მე აუცილებლად დავეხმარები ჩემს ერს. ჩვენი პარლამენტის მთავარი მიზანია, რაც შეიძლება ბევრი გავაკეთოთ ჩვენი ერის დასახმარებლად.

ჩვენ ყოველ კვირას მივდივართ ამა თუ იმ რეგიონში ჯამაათის მოსანახულებლად, უნდა მოვისმინოთ მათი აზრები, შევიტყუოთ მათი პრობლემების არსი და მაქსიმალურად დავეხმაროთ მათ.

—ავისტოში ჩვენი გაზეთი წერდა, რომ ქნესეთის სპიკერმა დელია იციკმა თქვენ დაგავალათ საქართველოში გამოსამგზავრებელი დელეგაციის შედგენა. რამ განაპირობა ასეთი საპატიო მისია?

—მე ვარ ისრაელსა და საქართველოს შორის საპარლამენტო ურთიერთობის ჯგუფის ხელმძღვანელი. ჩვენს ვალდებულებად მივიჩნევთ საქართველოსა და ისრაელს შორის არა მხოლოდ საპარლამენტო ურთიერთობის გაძლიერებას, არამედ ამ ორ ქვეყანას შორის კავშირის განმტკიცებას, საამისოდ კი ძალიან ბევრს ვაკეთებთ: ომის დღეებში, პარლამენტში ჩემს პირად ოფისში გავხსენი საქართველოს დახმარების შტაბი, ჩვენს მიერ საქართველოში გამოგზავნილი იქნა ჰუმანიტარული დახმარებები, ჩემი თაოსნობით მოხერხდა 10-11 საავადმყოფოს მობილიზება, რათა საქართველოდან სამკურნალოდ ჩამოგვეყვანა დაჭრილი სამხედროები. ბიზნესმენთა პალატამ, იციკ მოშეს ხელმძღვანელობით, დიდი დახმარება გავგინია. მოხდა ისრაელსა და საქართველოს შორის საავადმყოფოების

დაკავშირება, რის შედეგადაც ჩვენ 19 ჯარისკაცი წავიყვანეთ (ბ-ნი აბრაამის საქართველოდან გამგზავრების შემდეგ ისრაელში მეოცე დაჭრილი ჯარისკაციც წავიყვანეს სამკურნალოდ. რედ.) ისრაელში. ისინი გადაყვანილ იქნენ ბელინსონის, აფულას და სხვა საავადმყოფოებში.

—თქვენთან ერთად ვინ არიან საქართველოს სტუმრები?

—ჩემთან ერთად არიან ქნესეთის ვიცე-სპიკერი იული ედელშეინი („პარტია“), ოთნიელ შნელერი (პარტია „კადიმა“) და პარტია „ავოდას“ წარმომადგენელი ქნესეთში ლეონ ლიტინსკი. აქ იმიტომ ჩამოვედით, რომ ადგილზე შევისწავლოთ მდგომარეობა და გავიგოთ კიდევ რითი შეგვიძლია დახმარება.

—საქართველოში ვისთან გქონდათ შეხვედრები?

—ამ დღეებში ჩვენ შევხვდით პარლამენტის ვიცე-სპიკერს მიხეილ მაჭავარიანს, თავდაცვის მინისტრს დავით კეზერაშვილს, პრემიერ მინისტრს ლადო გურგენიძეს, სახელმწიფო მინისტრს რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილს, ვიცე-სპიკერს რუსუდან კერვალიშვილს, ძალიან გულითადი საუბარი გვქონდა საქართველოს პრეზიდენტთან მიხეილ სააკაშვილთან, ასევე პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომისიის თავმჯდომარესთან ლაშა ჟვანიასთან. ჩვენ მასთან დიდი ხნის კარგი ურთიერთობა გვაკავშირებს.

—როგორი შთაბეჭდილებით მიემგზავრებით საქართველოდან?

— ომი ყოველთვის იყო და რჩება საშინელებად, მდგომარეობა ცხადია, საკმაოდ მძიმეა, კონფლიქტი რთულია. ისრაელი გასაგებ გარემოებათა გამო აქტიურად ვერ ჩაერევა ამ საკითხში. ამიტომ ვცდილობთ ნეიტრალური პოზიცია დავიკავოთ. გავაკეთებთ მაქსიმალურს საქართველოს დასახმარებლად. უნდა ვიქონიოთ ღვთის შენევის იმედი — ყველაფერი მოგვარდება.

—კიდევ ვის შეხვდით საქართველოში?

—ამ ხნის მანძილზე ჩვენ ვიყავით გორში ჩვენი ჯამაათის მოსანახულებლად, შევხვდით გუბერნატორს, მოვინახულეთ სალოცავი. თბილისში ჩვენს ჯამაათთან შესახვედრად სპეციალურად გამოგყავით ხუთშაბათი დღე.

თბილისში 1998 წელს ვიყავი ბოლოს, გამეხარებოდა ჩემი ვიზიტი ასეთ რთულ პერიოდს, რომ არ დამთხვეოდა. თუმცა, მაინც მოხარული ვარ, რომ ვიმყოფები თქვენს გვერდით და ვცდილობ, რითიც შემიძლია, დავეხმაროთ.

ჩაინერა  
თინათინ შინგაღაია

# ავთანდილ ნიკოლეიშვილი —



## სამოცი წლის ავთანდილ ნიკოლეიშვილს

### ჩემო ძვირფასო ავო!

არ ველოდი, თუ ასე ჩქარა წამომენოდი. შენი სამოცი წელი ჩემთვის სასიამოვნო მოულოდნელობაა. კარგად იცი, შენი ყოველი ლიტერატურული ნაბიჯის მომსწრე და ჭირისუფალი ვიყავი და ასეთად დავრჩები მუდამ.

სახელოვანი კაცი ხარ! ვერ წარმომიდგენია მოხუცი და წლებით დამძიმებული ავთანდილ ნიკოლეიშვილი! სამოცწლიანი ტვირთი შემოქმედისა და მეცნიერისა შენ ისე ჩაუქად და ვაჟკაცურად ზიდე, რომ შენს მაგარ მუხლს, შენს ჭკვიან მზერას, სიყვარულით სავსე შენს დიდ გულს, დაღლა ოდნავადაც კი არ დატყობია.

მე, შენს მეგობარს, დღევანდელ საქართველოში მხოლოდ ერთი-ორი თუ მეგულება უახლესი ქართული ლიტერატურის ისეთი მკვლევარი და კრიტიკოს-შემფასებელი, როგორც შენ ხარ. ამიტომაც იყო, რომ წლების განმავლობაში თუკი საქართველოში ვინმეს ამ პერიოდის ქართულ ლიტერატურაში ხელდასმა სჭირდებოდა, პირველ ექსპერტად და ოპონენტად შენ გიხმობდიო ხოლმე და შენს სიტყვას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს ახალგაზრდა მეცნიერის გომავლისათვის.

მართალია, ინტერვიუებში შენი პოეტიკის შესახებ ხაზგასმით არაფერს ამბობ, მაგრამ ჩინებული პოეტიც ხარ!

ამას ყველაფერს უნდა დაეუმატოთ შენი დიდი და მრავალმხრივი საზოგადოებრივი ღვაწლი. აქაც უზადლო ავთანდილ ნიკოლეიშვილი ხარ! შენ ცხრა წლის მანძილზე, ყველაზე რთულ წლებში, უხელმძღვანელებდი ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტს და ისეთ ფიორდეტში გაატარე მისი დიდი ხომალდი, რომ შენზე, როგორც წარმატებულ რექტორზე, თაობები ილაპარაკებენ.

გვხვევი და შუბლზე გკოცნი უნიჭიერეს მწერალს, მეცნიერსა და ჭეშმარიტ ერისკაცს! ჩემო ავთანდილ, უკვე სამოციწლიანი ხარ, რასაც შენთან ერთად მთელ საქართველოსაც ვულოცავ!

პროფესორი რამზაზა მიშვილაძე

### ქვირფასო ბატონო ავთანდილ!

ვერ დავიჯერებ, როცა შევიტყვე, რომ თქვენ სამოცი წლისა ბრძანდებით. ბოლო ექვსი წლის განმავლობაში რამდენჯერმე შეგხვდით და ყოველთვის ვგრძნობდი თქვენს ენერგიულობას, სიცოცხლის წყურვილსა და დიდ სურვილს, რაც შეიძლება მეტი გააქეთოთ ყოველ საქმეში, რასაც კი ხელს ჰკიდებთ. მიუხედავად იმისა, რომ ერთ ენაზე არ ვლაპარაკობთ, ჩემთვის ნათელია თქვენი უდიდესი ზრუნვა ჩვენი ორი ხალხის — ქართველთა და ებრაელების — ურთიერთობებზე. მე მხედველობაში მაქვს წიგნები, რომელთაც ჯერ-ჯერობით მხოლოდ მცირე ანოტაციების სახით ვიცნობ, მაგრამ იმედი მაქვს, რომ დადგება დრო, როცა ზოგ მათგანს ივრითზე თარგმნის ვინილაგ, პუბლიცისტური თუ სამეცნიერო სტატიები, თქვენი რედაქტორობით გამოშვავი განსაკუთრებული უფრნალი „ნოსტალგია“.

ნება მიბოძეთ, მადლობა გადაგიხადოთ იმ შეხვედრისათვის, რომლებიც ჩვენ გვქონდა როგორც აქ, ჩვენთან, არიელში, როდესაც აქ იმყოფებოდით ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დელეგაციის ხელმძღვანელად, როგორც ამ უნივერსიტეტის რექტორი, ისე, განსაკუთრებით, საქართველოში, ქუთაისში. მე შესანიშნავად მახსოვს როგორც პირველი ვიზიტი, როცა ერთად დავსერიონობდით თქვენს საყვარელ ქალაქში და დიდი სითბოთი გვესაუბრებოდით ებრაელთა უზნებლად და მათს ებრაელ მოსახლეობებზე, ისე მეორე ვიზიტიც, როცა ქუთაისის უნივერსიტეტში გაიმართა ჩვენი წიგნის — „დაფარული შუქის“ თარგმანის პრეზენტაცია. თქვენი დახმარებით ავისრულე ოცნება, მომენახულებინა საქართველოს ეროვნული პოეტის გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმი, რომლის შთამბეჭდავი და მგრძობიარე ლექსების ივრითზე თარგმნის ბედნიერებაც წილადაც მხვდა რეუვენ ენობთან ერთად. ვიდექი მზის ჩასვლისას იქ, მდინარისპირა წყნარ სოფელში და დამეუფლა ფიქრი პოეტზე, მის ცხოვრებაზე, რომელიც სწორედ აქ დაიწყო. ეს ფიქრი დღემდე განუშორებლად დამდევს თან.

ივრითზე ორი გავრცელებული დალოცვა არსებობს და სწორედ ისინი მინდა მოგიდღვნათ: ძალა შეგარჩინოთ ღმერთმა და ას ოცნლამდე იცოცხლეთ!

*დიდი სითბოთი და მარადიული მეგობრობით პროფ. ორციონ ბართანა, მწერალი, არიელის საუნივერსიტეტო ცენტრის სტუდენტთა დეკანი, ისრაელი*

### წარმატება

მხვდა პატივი და სიამოვნება გულწრფელად მივესალმო ჩემს უმცროს მეგობარს — ბატონ ავთანდილს და მივულოცო დაბადების მრგვალი თარიღი.

აკადემიკოსი, პროფესორი, უნივერსიტეტის რექტორი, ორი ქალაქის: ამერიკაში — კოლუმბიის და ქუთაისის საპატიო მოქალაქე, მკვლევარი, მწერალი, პუბლიცისტი, ყოველივე ამას აგვირგვინებს მისი შესაძურნი მადალი ზნეობრიობა და ადამიანური სიკეთე!

ცალკე მინდა გამოვყო ბატონი ავთანდილის მთავარი თვისება — მისი დამოკიდებულება ებრაელი ერისადმი, რამაც ასე მკაფიოდ გაიჟღერა ჟურნალ „ნოსტალგიაში“ ფურცლებზეც.

ებრაული თემა ბატონი ავთანდილის მეცნიერულ მოღვაწეობაში ერთ-ერთი წამყვანია და სიღრმეულად აშუქებს ჩვენი ორი ერის მრავალსაუკუნოვანი სულიერი ურთიერთობის საფუძვლებს, რომელთაც მსგავსი მძიმე ისტორიული ქართველობა გამოუვლიათ.

ბატონი ავთანდილი იმ ასაკშია, როდესაც მისგან მოველით კვლავ მრავალ ახალ მიღწევას.

მინდა პირველყოფლისა, ვუსურვო ხანგრძლივი ჯანსაღი სიცოცხლე, რათა მისი მიღწევების პიკი კვლავ გაგრძელდეს!

### ჩიტო ბუხიაშვილი

ქუთაისის საპატიო მოქალაქე, ღირსების ორდენის კავალერი.

### ქვირფასო ბატონო ავთანდილ!

მზურვალედ მოგესალმებით დაბადების 60 წლის დღესასწაულზე და ისრაელიდან დალოცვით გისურვებთ „ად მეა ვეს-რიმ“ — ას ოცნლამდე!

ჩემთვის ერთსა და იმავე დროს ძნელიც არის თქვენთვის მოსალმების მონერა და ადვილიც: ადრეც ვიცნობდით, ისრაელში ამოსვლამდე, როგორც დიდებულ ლიტერატორსა და სიტყვის ოსტატს, ფუნდამენტური ნაშრომების ავტორს უახლესი ქართული ლიტერატურის დარგში, უმადლესი განათლების შესანიშნავ ორგანიზატორს. მაგრამ ჩემი ცხოვრების ახალ ეტაპზე აღმოვაჩინე, რომ თქვენ ჩემი ხალხის — ქართული ებრაელობის — ჭეშმარიტი მეგობარი და გულშემატკივარი ბრძანდებით, რომელიც თავის მოვალეობად თვლის ჩვენი ორი ხალხის მეგობრობის განმტკიცებასა და სათანადოდ გამოხატვას. მხოლოდ ებრაელთა ნამდვილ დამფასებელს შეეძლო ესოდენ სიყვარულით გამთბარი წიგნების შექმნა დავით და გერცელ ბაა-ჩეებზე, ქართულ ებრაულ პრესაზე. და განა მართო ეს? თქვენი უფრნალი „ნოსტალგია“ ხომ მართლად ნოსტალგიისა და უთბილეს-უტკბილეს მოგონებათა წყაროა. ამის გარდა, კიდევ რამდენიმე პუბლიცისტური წერილი გამოგიქვეყნებიათ, ჩვენი ხალხის სიყვარულით აღსავსე. გულწრფელი მადლობა თქვენ ყოველივე ამისთვის!

გისურვებთ არ მოგშორებოდეთ თქვენი ხალხის, ჩემი ხალხის, თქვენი მრავალრიცხოვანი კოლეგებისა და მონათვეების ჭეშმარიტი დაფასება და პატივისცემა, რომელსაც თქვენ უეჭველად იმსახურებთ, როგორც სახელოვანი მეცნიერი, მოქალაქე, დადებული ოჯახის მამა, სულით ხორცამდე პატირიოტი, დიდი პიროვნება.

ძმური სალმითა და „მრავალთა კეთილთა“ სურვილით თქვენი **რეუვენ ენობი (რუბენ ენუქაშვილი)**

არიელის საუნივერსიტეტო ცენტრის პროფესორი, იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის ტრუემინის სახ. მშვიდობის პრობლემათა ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, ისრაელის რადიო „კოლ ისრაელის“ ქართულენოვან გადაცემათა რედაქციის ხელმძღვანელი.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი ქართული ლიტერატურათმცოდნეობის თვალსაჩინო წარმომადგენელია. მისი ნაყოფიერი მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა საჩინო და კეთილ კვალს ტოვებს ჩვენი ხალხის ინტელექტუალურ ყოფაში: 200-ზე მეტი გამოქვეყნებული ნაშრომის ავტორი, წლების მანძილზე აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, პრორექტორი სამეცნიერო მუშაობის დარგში, რექტორი, სრული პროფესორი.

ავთანდილ ნიკოლეიშვილის სახელი საქართველოს საზღვრებს გარეთაცაა გასული: ქალაქ კოლუმბიის (აშშ) საპატიო მოქალაქე, ნიუ-იორკის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის საპატიო წევრი, კემბრიჯის ბიოგრაფიების საერთაშორისო ცენტრის დირექტორის მოადგილე საქართველოში, საქართველოს ღირსების ორდენის კავალერი.

მისი გამოკვლევები მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის კრიტიკული შესწავლის მიმართულებით ხასიათდება, როგორც ცალკეული პრობლემების სიღრმისეული ჭვრეტის, ასევე დარგის თუ მიმართულების კომპლექსური და განზოგადებული ხედვის უნარით. პირადად მე მაქვს ამის თქმის სრული უფლება და გამოცდილება, რამდენადაც მისი „მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები“ მრავალტომულიდან V და VI ტომების რედაქტორი ვიყავი. მისი, როგორც ლიტერატურათმცოდნის ამ მაღალ შეფასებას უპირველეს ყოვლისა, იმსახურებს გარდა დასახელებული „მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევების“ მრავალტომულისა, 600 გვერდიანი მონოგრაფია „XX საუკუნის ქართული მწერლობა“ (ქუთაისი, 2002 წ.).

ავთანდილ ნიკოლეიშვილი არა მხოლოდ მკვლევარია XX საუკუნის ქართული ლიტერატურისა, არამედ მისი შემოქმედია. იგი 1980 წლიდან მწერალთა კავშირის წევრი, ლირიკული ლექსების რამდენიმე კრებულის ავტორია (1975 წ.; 2002 წ.).

60 წლისთავს ამაყად ხვდება კარგი ლიტერატურათმცოდნე და ლირიკოსი, ღირსეული ოჯახის საყვარელი მამა და პაპა, რაც მთავარია, გულთბილი და ერთგული მეგობარი.

პროფესორი ელგუჯა ხინთიბიძე

### სიტყვა ღირსულ კვდამობზე

ბატონ ავთანდილ ნიკოლეიშვილი მამინ არ გამიციანია, როცა ჩემი პედაგოგი განდა ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (მაშინ პედაგოგიურ ინსტიტუტში). მას მანამდე შეგხვდი, და აი, როგორ: ერთხელ ჩემი ძმა, გელა ჭინჭისაშვილი მოვიდა სახლში და მითხრა, ახლავე მოემზადე, მწერალთა კავშირში ერთ სულ ახალგაზრდა ბიჭის ლექსები კითხვა, დაწერილი გარ, დაგინტერესებს.

წვედი. დაინტერესება რას მიქვია, - აღფრთოვანებული დავრჩი ლექსებით და მათი ავტორით, რომელსაც ისეთი უშუალო, გულწრფელი სტრიქონები შეუქმნია. ისე კარგად გაათავისუფლები, ქართული პოეზიისათვის მაშინ ჯერ კიდევ დომინანტურად დამახასიათებელი კლასიკური რითმით, სათქმელის ღრმა და სერიოზული გახარებით, რომ დიდხანს არ მაიწყუნდებოდა - თან დამეყვებოდა მათი თანამედროვე სტრიქონები, თუ საერთო ინტონაცია. არც ის დამეწყნებია, როგორი მორტიანი იყო ახალგაზრდა ავტორი, როგორ თავისათვის მაშინ შეიძლება ასე ითქვას, ასაკისათვის შეუფერებელი სიღრმე იღებდა შექმენებსა და მილოცვებს...

ეს მისი გრძელი, მრავალფეროვანი და უღრესად პროფესიული გზის მხოლოდ დასაწყისი იყო.

მოგვიანებით მას ხვდებოდი როგორც კრიტიკოსს, სხვადასხვა საინტერესო პუბლიკაციის ავტორს ქართული ლიტერატურის, ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევარს სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. მას არაჩვეულებრივი უნარი ჰქონდა ერთ-ერთ პირველს უტყუარად შეეცნო ლიტერატურული ნაწარმოების ავ-კარგი, გაუზიარებინა და დაეხანებინა იგი მკითხველისათვისაც.

მალე საზოგადოებამ გაიცნო ავთანდილ ნიკოლეიშვილი, როგორც არა მარტო ქართული ლიტერატურის მკვლევარი, არამედ როგორც ღირსეული ადამიანი, კარგი მოქალაქე და პედაგოგი.

როდესაც მისი სტუდენტი გაგხდი, აღმოვაჩინე, რომ ამ მუდამ საქმეში ჩაფლულ ახალგაზრდა პროფესორს სტოიკური გაფრთხილება და ღირსების გრძობით გამოჩნდეს, ძალზე ახალგაზრდა სული აქვს და ძალიან კარგად ესმის სტუდენტის გუნება, რომელიც ზოგჯერ ასაკისათვის შესაფერი დაუდგრობლობითაა და სხვათა შორის, სიანცითაც კი გამოიხატება. ამავე დროს მას შეეძლო დროისა და ენერჯის დაუშურებლად დახმარებოდა სტუდენტს თავისი შესაძლებლობების გარკვევაში, მონაცემების რეალიზაციასა და თვითრწმენის განვითარებაში.

ეს თვისება ყველა მასწავლებელს როდი აქვს მომადლებული. ბატონ ავთანდილ ნიკოლეიშვილს იგი უხვად გააჩნია.

რაკი შესაძლებლობა მოემცა ბატონ ავთანდილზე ვთქვა სიტყვა, არ შემიძლია არ გაიხსენო მისი ლექსების ერთი თავისებურება. არ ვიცი, იგი ახლაც ასეთია აუდიტორიაში თუ არა, მაგრამ ჩვენს დროს ის კითხულობდა ლექსებს ნელა, აუჩქარებლად, გამოხატავდა სათქმელს ძალიან სადად, ყოველგვარი დეკორატიულობის გარეშე. მისთვის მთავარი იყო ჩვენამდე მოეტანა ის, თუ რა ადგილი ეჭირა ამა თუ იმ მწერალს ქართულ ლიტერატურაში და რა ღირსებებით, თუ გნებავთ ნაკლით - გამოიჩინებოდა მისი ნაწერებები, რით იყო ღირს შესანიშნავი და რატომ უნდა გვცოდნოდა ისინი.

ბოლა, ეს ნელი, აუჩქარებელი მონათხრობი თურმე ისე ღრმად ჩამდარა ჩემს ცნობიერებაში, რომ დღემდე, როცა კი რაიმე შეგება მაქვს ქართულ ლიტერატურასთან, ათვლის წერტილად აი იქ. ქუთაისის უნივერსიტეტის მათე აუდიტორიაში მოსმენილი ავთანდილ ნიკოლეიშვილის ლექსით მოიხიშნება. დანარჩენი კი, მერე წაკითხული, ან მიღებული ცოდნა, მასზე დაფუძნებული...

ეს ყველაფერი ოცდაცხრა-ოცდაათი წლის წინ იყო. ბედმა ინება, რომ მე შორს, შვეიცარიულ შტატებში ვიყო, მაგრამ მანამდეც, ვიდრე საკომუნიკაციო საშუალებები ასე განვითარდებოდა და მით უმეტეს ახლა, ჩემი მეგობრების დირსეულად გაატარა წლები, როგორც ქუთაისის უნივერსიტეტის პრეზიდენტმა და ღირსეულად დაასრულა მისი მრავალმხრივი მოღვაწეობის ეს ეტაპი. ისიც ვიცი, რომ მის მრავალრიცხოვან პუბლიცისტურ ნაშრომებში ქართულ-ებრაულმა თემაზე დიდი ადგილი დაიკავა, სადაც მან შეძლო ისეთი ფაქტების მოძიება და მიზეზი მკითხველისათვის, რომლებმაც ინტელექტუალური ბაზა გაუმყარა ამ ურთიერთობას სადღესოდაც და სამომავლოდაც.

ჩემგანმადლობაც ვებვის დღევანდელი უბიძარას მოკითხვისა და გაკითხვისათვის - იგი ხომ ისე არ წავა ამერიკიდან, თუ არ შემოქმენიანია, არ დაინტერესდა როგორა ვარ და რას ვაკეთებ.

ბატონი ავთანდილ! თურმე რა დრო გასულა იმ დღიდან, თქვენი ლექსები რომ მოვიმინე პირველად. 60 წელი, საამაყო სამოცი წელი!

გილოცავთ! დღეგრძელობას და შემოქმედებითი ენერჯის ულოებას გისურვებთ თქვენს მშვენიერ ოჯახთან ერთად!

ულრემის პატივისცემით.

მანანა ჭინჭისაშვილი ნიუ-იორკი

➔ მე-6 გვ.

ი.ბარდანაშვილი სექტემბერში თბილისში გახლდათ მონვენული „მუსიკალური შემოდგომის“ საორგანიზაციო კომიტეტის მიერ



ფესტივალში მონაწილეობისათვის.

27 სექტემბერს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა კომპოზიტორ იოსებ ბარდანაშვილის საავტორო კონცერტი, კონცერტის დირიჟორი გახლდათ ვახტანგ კახიძე. კონცერტზე წარმოდგენილ იქნა: ელეგია (ფსალმუნი 21) სიმებიანი ორკესტრისათვის, სიმფონია №2 დიდი სიმფონიური ორკესტრისათვის, დიალოგები ჩელოსა და ორკესტრისათვის, "წმინდა ლოცვანი" მომღერლისა და სიმფონიური ორკესტრისათვის.

კონცერტის დასაწყისში მუსიკატმცოდნე მარინა ქავთარაძე მაცურებელს ესაუბრა იოსებ ბარდანაშვილის შემოქმედებაზე:


— მიუხედავად იმისა, რომ სოსო ბარდანაშვილი უკვე 13 წელია ისრაელში მოღვაწეობს, ის მაინც ქმნის ებრაულ მუსიკას ქართული აქცენტით. ისრაელი აქტიური კულტურული მოღვაწეობის ცენტრია, სადაც ძალიან რთულია დაიმკვიდრო შენი ადგილი, მით უფრო დასაფასებელია სოსო ბარდანაშვილის მოღვაწეობა. იგი ძალზე პოპულარული კომპოზიტორია, რომელიც თანამშრომლობს მსოფლიოს ნამყვან დირიჟორებთან, მათ შორის ჯანსუღ კახიძესთან, მას აქვს ურთიერთობა მსოფლიოს უდიდეს სოლისტებთან, ორკესტრთან. სოსო გახლავთ უამრავი პრიზის მფლობელი, იგი გახდა 1998-2004 წლების საუკეთესო კომპოზიტორი, იგია მფლობელი თეატრალური ოსკარისა, რომელიც მიიღო თავისი მესამე ოპერისთვის "მოგზაურობა ათასწლეულის მიჯნაზე". სოსო ბარდანაშვილის შემოქმედების პირველი ქართული პერიოდი 1973-1995 წლები, რომელიც ხასიათდება შემოქმედებითი ძიებებით, საკუთარი სტილის დამკვიდრებით. ამ პერიოდში მას ჰქონდა შემოქმედებითი ურთიერთობა რობერტ სტურუასთან, ჯემალ აჯიაშვილთან, გიორგი შენგელაიასთან, გია ყანჩელთან. უნდა აღინიშნოს, რომ სოსო არის დაჯილდოებული მრავალმხრივი ნიჭით, არა მხოლოდ მუსიკით, არამედ მხატვრობით, მას აქვს გასაოცარი თეატრალური

# იოსებ ბარდანაშვილის დიდი წარმატება

• თბილისში უკვე მეთექვსმეტე წელიწადია ტარდება დიდებული ფესტივალი „მუსიკალური შემოდგომა“. ეს ფესტივალი გამოჩენილმა ქართველმა კომპოზიტორმა და დირიჟორმა ჯანსუღ კახიძემ დაარსა და დღეს მისი შვილი, ასევე სახელოვანი დირიჟორი და კომპოზიტორი ვახტანგ კახიძე ღირსეულად განაგრძობს მამის მიერ დაწყებულ საქმეს. ტრადიციულად ფესტივალის დღეებში თბილისის სტუმრობენ გამოჩენილი კომპოზიტორები, მუსიკოს-შემსრულებლები.

• 1995 წლიდან ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელ კომპოზიტორს იოსებ ბარდანაშვილს ნოემბერში 60 წელი უსრულდება. შემოქმედებითი ცხოვრების განმავლობაში მან შექმნა არაერთი ჩინებული ნაწარმოები\_ მუსიკა საქართველოსა თუ ისრაელში დადგმული სპექტაკლებისა და კინო-ფილმებისათვის, პირველი ქართული როკოპერა, სიმფონიები. მის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ებრაულ თემატიკას. თელ-ავივის ოპერის დაკვეთით ი.ბარდანაშვილმა დაწერა ოპერა „მოგზაურობა ათასწლეულის მიჯნაზე“, (ალფ-ბეთ იოშუას ლიბრეტოს მიხედვით), რომელიც წარმატებით განხორციელდა.

რეჟისორული ხედავ, ფსიქოლოგიური ჭკრეტის უნარი. მისი მუსიკის სტილი განსხვავდება ერთმანეთისგან. სტილის ფორმირება მოხდა სხვადასხვა უანრებში. ამპერიოდში აღსანიშნავია მისი ოპერა „ალტერნატივა“, კამერული ნაწარმოებები, რომელიც მიუძღვნა ბიხეს ხსოვნას. იგია ოცდაათამდე კინოს და ოცდაათზე მეტამდე თეატრალური სპექტაკლის მუსიკის ავტორი. მათ შორის „სიყვარული ყველას უნდა“, „მეტიჩარა“ და სხვა მრავალი. მისი შემოქმედების მეორი ეტაპი 1995 წლიდან იწყება, ის უკვე ისრაელშია. აქ მისი პირველი ნამუშევარი იყო მუსიკა ხანოხ ლევიანის პიესის რობერტ სტურუასეული სპექტაკლისათვის. ეს სპექტაკლი რობერტ სტურუამ თელ-ავივის კამერულ თეატრში განახორციელა. იგია ავტორი ოთხმოცზე მეტი ნაწარმოების, მათ შორისაა: ოპერა, ბალეტი, სიმფონია, კონცერტები, კამერული სიმფონიური ნაწარმოებები. გარდა მუსიკალური მოღვაწეობისა, სოსო ბარდანაშვილი ეწევა აქტიურ შემოქმედებით ცხოვრებას, მოგეხსენებათ, იგი იყო აჭარის კულტურის მინისტრის მოადგილე. ისრაელში კი მრავალმხრივ მოღვაწეობას ეწევა. არის პედაგოგი— თელ-ავივის უნივერსიტეტის პროფესორი, თბილისის კონსერვატორიის მონვენული პროფესორი. სოსო ბარდანაშვილი საქართველოს თავის მეორე სამშობლოდ მიიჩნევს, ყოველთვის დიდი ნოსტალგიით იხსენებს მას. 2008 წლის 23 ნოემბერს სოსო ბარდანაშვილს უსრულდება 60



წელი, რასაც წინასწარ მთელი სულით და გულით ვულოცავთ, ამ მოლოცვას უერთდება საქართველოს კულტურის სამინისტრო და ბატონ ნიკოლოზ ვაჩიშვილის მიმართვა, დღეგრძელი იყოს ბატონი სოსო და კვლავაც გავეხარებინოთ თავისი შესანიშნავი მუსიკით.

კონცერტის მეორე განყოფილებაში, ქართულ ორკესტრთან ერთად, მაცურებლის წინაშე წარსდგა ისრაელიდან სტუმრად ჩამოსული ვიოლონჩლის-ტი ცვიკა პლეისერი. განსაკუთრებით აღსანიშნავია "წმინდა ლოცვანი", სადაც იმდენა ეთი ბენ ზაკენმა, რომლის შესანიშნავმა შესრულებამ მონუსხა მთელი დარბაზი. ბატონი სოსო ბარდანაშვილი რამდენჯერმე იხმეს სცენაზე, ბოლოს მან სიტყვით მიმართა მაცურებელს:

— მე ძალიან ბედნიერი ვარ, რომ დღეს თქვენთან ერთად ვიმყოფები. ამ ლოცვაში ერთი ტექსტია ძალიან მნიშვნელოვანი და მინდა გითხრათ თუ რაზეა

ის: ყველაფერი წარმავალია, ახალგაზრდა ბერდება, რაც ძლიერია, სუსტდება, რაც მყარია, დაიშლება. მე მინდა ვისურვო, რომ ყოველი ბნელი ნათელით შეცვლილიყოს, ისე, როგორც ჩვენ ამის იმედი გვაქვს, უფალი გვფარავდეს და შაბათი დღის შუქი არ მოკლეთ. ბოედეს საქართველოს!

კონცერტის შემდეგ ორიოდე კითხვით მივმართე ქართული კულტურის მოღვაწეებს:

— რას იტყვიტ სოსო ბარდანაშვილის კონცერტთან დაკავშირებით და ზოგადად მის შემოქმედებაზე? გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორი

**ბიძინა კვიციანი:**  
— სოსო ძალიან ნიჭიერი ადამიანია, მე დიდი თაყვანისმცემელი ვარ მისი. მაგრამ ახლა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, უზარმაზარი კომპოზიტორი გახდა. ის არის საოცრად ბრძენი კაცი, ჭკვიანი, გონიერი, ნიჭიერი, უაღრესად შრომატევადია მისი ნაწარმოებები, საოცრად ლაღი და აღმაფრთოვანებელი. მის ნაწარმოებებში უდიდესი შრომაა ჩადებული. მე ყოველთვის ვიქნები მისი თაყვანისმცემელი. სოსო უდიდესი მოვლენაა, ის უზარმაზარ წარმატებებს მიაღწევს. მე დავლოცავ მას მთელი გულითა და სულით. ამ კონცერტზე განსაკუთრებით საოცარი იყო დირიჟორი ვახტანგ კახიძე, მან იცის ნამდვილი კომპოზიტორის გემო და სწორედ ამიტომ მოიწვია იგი. ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებ მას.

**გამოჩენილი ფოლკლორისტი, საქართველოს პარლამენტის**

**წვერი ანზორ ქაქოაიშვილი:**  
— სოსო ბარდანაშვილის კონცერტი კარგახანია არ მომისმენია. მემასახალგაზრდობიდან ვიცნობ, ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში, ის თავიდანვე იყო ძალიან ნიჭიერი კომპოზიტორი და მისი პირველი ნაწარმოებები ძალიან დიდი ყურადღების ქვეშ მოექცა ქართველ მუსიკოსებს შორის. მისი მუსიკა, ეს იქნება კინოსა, თუ თეატრისთვის შექმნილი, ყოველთვის იწვევდა ძალიან დიდ მოწონებას. შემდეგ ჩვენდა სამწუხაროდ, თუ შეიძლება, რომ ასე ითქვას, სოსო გადავიდა ისრაელში და ახლა იქ განაგრძობს მოღვაწეობას, მაგრამ მისი მეგობრები და მისი შემოქმედების თაყვანისმცემლები ბევრი დავრჩით აქ. მე ყოველთვის ველოდები მის ახალ ნაწარმოებებს დიდი სიხარულით. სოსომ ძალიან ბევრი ნაწარმოები შექმნა ისრაელში და არა მხოლოდ ისრაელში, საქართველოშიც, ისინი ძალიან დიდი წარმატებით სრულდება მთელს მსოფლიოში. ახლა იგი საანგარიშო კონცერტით წარსდგა ჩვენს წინაშე და შოკში ჩააგდო ქართული საზოგადოებრიობა. მე პირადად დღემდე მომყვება ეს ემოცია. არა მარტო როგორც სოსო ბარდანაშვილის კონცერტი, არამედ ეს იყო უმაღლესი ხარისხის კონცერტი შესრულების მანერით, თავად ნაწარმოებები იყო მაღალი პროფესიონალური ხელით დაწერილი, შესანიშნავად უძღვებოდა ვახტანგ კახიძე, ორკესტრი ფდერდა ფანტასტიურად. შემსრულებლები: ვიოლონჩლისტი ცვიკა პლეისერი და მომღერალი ეთი ბენ ზაკენი განსაკუთრებულ აღფრთოვანებას იწვევდა მაცურებელში. როცა სოსო ბარდანაშვილი ავიდა სცენაზე, ლამის დაინგრა დარბაზი, რადგან ესენი იყვნენ ნამდვილი პროფესიონალები. დღემდე ჩამესმის ეთი ბენ ზაკენის ხმა, როდესაც ებრაული ლოცვები შეასრულა, ეს იყო უმაღლესი პილოტაჟი, არა მხოლოდ სიმღერისა, არამედ ხასიათის გამოკვეთილი მანერის, სადაც არ იყო საჭირო სიტყვების მოსმენა, იმდენად შთამბეჭდავი იყო ყოველივე, რომ ისედაც გასაგები იყო ყველაფერი, რაც მუსიკით იყო გადმოცემული და ამ ქალბატონის შესრულებით. ყველა ის ნაწარმოები, რაც იქნა შესრულებული ამ კონცერტზე, კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმაში, რომ სოსო ბარდანაშვილი არის მსოფლიო კლასის მუსიკოსი, მე ამას ვამბობ თამამად და ხაზგასმით. გავა კიდევ ცოტა დრო და ის უფრო დიდ სახელს მოიხვეჭს მთელს მსოფლიოში. უბრალოდ ახლა ის ისე არ არის დაფასებული, რადგან ჯერ ცოტა ხანია, რაც მისი ნაწარმოებები გადის უცხოეთში. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ სულ ცოტა ხანში ის იქნება უპოპულარესი კომპოზიტორი მსოფლიოში. სოსო ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, თავისი შემოქმედებითი პერიოდის სიმწიფეშია და ვფიქრობ, ახალ-ახალი ნაწარმოებებით კვლავ გაგვახარებს.

**თინათინ შინგალია**

# გაზეთ "მეორე" 15 წლისთვის ულოცავენ:

## კვლავაც წარმატებით გავლოთ!

ბატონო გურამ, მოგესხენებათ, რომ მენორა ებრაელი ხალხის ცხოვრებაში უდიდეს როლს ასრულებდა. ის გამჩენის სინათლის პატარა ანარეკლი იყო ტაძარში. დღეს მენორას შუქი ჩვენთან მხოლოდ წელიწადში ერთხელ შემოდის ხანუქის სახით. თქვენ გადაწყვიტეთ მისი შუქის გაზრდა და ამიტომაც დაარქვით თქვენს გაზეთს "მენორა", რომელმაც ღირსეულად გაუძლო დროის ქარტყლებს და უკვე მეთხუთმეტე წელია ერთგულად ემსახურება საქართველოს ებრაელებს.

თქვენს გაზეთს მრავალი ფუნქცია აქვს. ის აქტიურად აშუქებს საქართველოში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვან პროცესს, ამავდროულად იძლევა მათ ღრმა და გააზრებულ ანალიზს. ხშირად მისი ფურცლებიდან წამოსული აზრი და იდეა ახალი წამოწყებებისა და გამარჯვებების საწინდარი ხდება, ან პრობლემები უფრო ადვილად გადაიჭრება.

გაზეთი "მენორა" ორ მეგობრულ ერს შორის ურთიერთობის გაღრმავებაზეც ზრუნავს.

მე მსურს უდიდესი მადლობა მოგახსენოთ იმისათვის, რომ გაზეთის ფურცლებზე ებრაულ ტრადიციასაც აქვს დიდი ადგილი და მათ შორის კვირის საკითხავი თავის განხილვაც შედის. თქვენს მიერ ნათარგმნი წმინდა წიგნები უფრო აახლოვებს ებრაელებს საკუთარ ფესვებთან. თქვენ არც ჩვენი ისტორია გავიწყდებათ და გაზეთის მეშვეობით მრავალ საინტერესო სტატიას, თუ ნაშრომს გვაცნობთ ჩვენი რთული და საინტერესო ისტორიიდან.

კურთხეულ იყავით გამჩენისაგან. გისურვებთ კიდევ მრავალ წელს გეკეთებინოთ ხალხისა და ერისათვის სასიკეთო საქმე და მრავალი სასიხარულო ამბების მაცნე ყოფილიყავით.

ღრმა პატივისცემით: საქართველოს მთავარი რაბინი არიელ ლევინი

როცა გაზეთ "მენორას" ირგვლივ არის ხოლმე საუბარი, ყოველთვის მახსენდება შორეული 90-იანი წლების დასაწყისი. თბილისში, ქართველი ებრაელების საზოგადოების წარმომადგენლები მსჯელობდნენ ებრაული გაზეთის გამოცემის რეალობაზე, მის აქტუალურობაზე. არც თუ ისე მცირე ნაწილს მიაჩნდა, რომ პერიოდული გაზეთის გამოცემა დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული, როგორც საინტერესო მასალების მოძიების და დამუშავების, ასევე ფინანსების მოძიების მხრივ. უნდა ითქვას, რომ მათი სკეფსისი საფუძველს არ იყო მოკლებული. ამას ადასტურებს არაერთი პერიოდული გამოცემის ბედი, რომლებმაც ვერ გაუძლეს ცხოვრების მკაცრ გამოცდას.

გაზეთ "მენორას" მცირერიცხოვანი გუნდისა და, პირველ რიგში, მისი უცვლელი რედაქტორის გურამ ბათიაშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გაზეთი მუდამ სასურველი სტუმარია ბევრი ქართველი ებრაელის ოჯახში. მას სიამოვნებით კითხულობენ საქართველოში, ისრაელში, შვედეთში შტატებში თუ სხვა ქვეყნებში, სადაც ქართველი ებრაელობა ცხოვრობს.

მე, როგორც საქართველოს ებრაელობის მსოფლიო კონგრესის ერთ-ერთი მესვეური, სიამოვნებით ავღნიშნავ, რომ გაზეთ "მენორას" არასოდეს მოკლებია კონგრესის მხრიდან მხარდაჭერა და ინტერესი.

მინდა "მენორა"-ს თანამშრომლებს მივულოცო საიუბილეო თარიღი და ვუსურვო წარმატებები მათ რთულ და საპასუხისმგებლო საქმეში.  
დავით ბააზოვი

თხუთმეტი წელი შესრულდა გაზეთ "მენორას" დაფუძნებიდან. თხუთმეტი წელი ისტორიისთვის ერთი ამოსუნთქვაა, გაზეთისთვის კი მნიშვნელოვანი დროა. ამ დროის მანძილზე "მენორა" საქართველოს ცხოვრებით ცხოვრობდა. არადა, ეს თხუთმეტი წელი ურთულესი პერიოდი იყო საქართველოს ისტორიაში. ქვეყანა განვითარების ახალ გზას დაადგა, გზას, რომელიც მეტად მძიმე გამოდგა. და აი, სწორედ ამ გზაზე ქართველების მხარდამხარ, მათ გვერდით დგას ქართველი ებრაელობა. ოცდაექვსი საუკუნის თანაცხოვრებამ ეს ორი ერთი დააახლოვა, დაამოხილა — მათ ჭირიც და ლხინიც ერთი გაიხადეს. ებრაელს და ქართველს საუკუნეების მანძილზე ერთნაირად ულხინდა და უჭირდა, ერთნაირად სციოდა და შიოდა, ერთნაირად იხარებდა. ებრაელობამ, დევნილმა თავისი პირველსაცხოვრისიდან, საქართველოში ჰპოვა თავშესაფარი, აქ კი მიიღეს უმთავრესი რამ — არსებობისა და შრომის ასპარეზი. საქართველომ დაიცვა და შეინახა ებრაელობა და არ არის შემთხვევითი, რომ მთელს მსოფლიოში გაფანტული ებრაელები საქართველოსადმი სითბოთი და სიყვარულით არიან გამსჭვალულნი, მადლიერების გულწრფელ გრძობას გამოხატავენ თავიანთი მეორე სამშობლოს მიმართ.

არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ გაზეთი "მენორა", რომელსაც გამოჩენილი ქართველი (ებრაელი) მწერალი, ამ ორი ხალხის ურთიერთობისა და სიყვარულის მომღერალი, ღირსი საზოგადო მოღვაწე გურამ ბათიაშვილი უდგას სათავეში, საქართველოს, ქართველ ებრაელთა საქმიანობას, მათ სისხლსავე ცხოვრებას აღწერს.

ებრაელი ხალხი მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ბინადარია. ებრაელთა ისტორია ოთხ ათასწლეულს მოითვლის. ეს ისტორია კი საოცარია. ძნელია მოიძებნოს მსოფლიოში სხვა ხალხი, რომელმაც დაკარგა თავისი სახელმწიფოებრიობა, გაიფანტა მთელ პლანეტაზე, სულ ცოტა ორი ათასი წელი თავისი სამშობლოს გარეთ იარსება და მაინც შეძლო დარჩენილიყო ერთიან ხალხად და სწორედ ორი ათასი წლის შემდეგ ძველ მიწა-წყალზე შექმნა სახელმწიფო — ისრაელი.

ყოველივე ეს თავის ასახვას მოითხოვს, ხალხმა უნდა იცოდეს ებრაელობის გამორეული ისტორია, იცოდეს დღევანდელი დღე. აი, აქ უდიდესი მნიშვნელობა აქვს ებრაულ გაზეთს — "მენორა"-ს, რომელშიც უამრავი საინტერესო პუბლიკაცია თავსდება. მეტად საინტერესოდ მიმაჩნია, რომ გაზეთი გარკვეულ ყურადღებას ისრაელში (და სხვა ქვეყნებში) მცხოვრებ ქართველი ებრაელობის ცხოვრებასა და საქმიანობასაც უთმობს.

საგულისხმოა, რომ "მენორა" საქართველოში გულწრფელი პატივისცემით სარგებლობს, მას ბევრი მეგობარი და კეთილისმსურველი გაუჩნდა. განსაკუთრებულად საქმიანი და თბილი ურთიერთობა აქვს გაზეთთან საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოებას, სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

მე ერთი რამ მნამს — ისეთმა ავტორიტეტმა და მნიშვნელოვანმა გაზეთმა, როგორც ებრაული გაზეთი "მენორა", დიდხანს უნდა იარსებოს. აქ კი მისმა მეგობრებმა და კეთილისმსურველებმა, მათ შორის ჩვენც, ყურადღება არ უნდა მოვაკლოთ ამ გამოცემას და ხელი შევეწყოთ მის შემდგომ წინსვლა-განვითარებას.

დაარსებიდან თხუთმეტ წელს ვულოცავთ "მენორა"-ს, მის შემქმნელ ჯგუფს. იმედი გვაქვს, რომ წარმატებები იქნება მათი საქმიანობის მარადიული თანამგზავრი.

როინ მატრაველი

აკადემიკოსი, საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების პრეზიდენტი

### პროფასორ ავთანდილ ნიკოლეიშვილს

ძვირფასო ბატონო ავთანდილ! თქვენი დაბადების 60 წლისთავის აღნიშვნა ჩვენთვის ქართული მეცნიერებისა და ლიტერატურის ზეიმი. ამ სფეროში თქვენ იმდენი წვლილი გაქვთ შეტანილი, ერთმანეთზე რომ დავაღაგოთ, ალბათ, თვალმუდგამი კოშკი დაიდგება. გარდა ამისა, თქვენ ბევრი სტუდენტი გყავთ გამოზრდილი, რომელთაც თქვენი მოღვაწეობის მარათონი გადაეცით და ისინი ზრუნავენ ამ კეთილი გზის გაფართოებისა და სრულყოფისათვის. იდეგრძელეთ, იჯანმრთელეთ, იმძლავრეთ, ინათეთ ქართველი ხალხისა და მისი კულტურის უკეთესი მომავლისათვის.

უღრმესი პატივისცემით: გერშონ ბენ-ორენი, თამარ კეზერაშვილი, სიმა თავდი, იზა დავითაშვილი, ვერა ჯანაშვილი, მერი ამშიკაშვილი, სიმა თავდიდიშვილი, ცისანა შამირი, იუზა ფიჩხაძე.

ისრაელი

ქართულ-ებრაული ურთიერთობის მრავალსაუკუნოვან ისტორიას არა ერთი სასიქაფლო მამულიშვილის მოღვაწეობა ამშვენებს, რომლებმაც ღირსეული წვლილი შეიტანეს ამ ორი ერის ურთიერთ დაახლოებაში. ამ მამულიშვილთა სიაში თქვენ, ღირსეული ადგილი გიკავიათ.

წლების განმავლობაში უდგებართ სათავეში საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების ქუთაისის ფილიალს და წარმატებით აგრძელებთ იმ დიდი წინაპრების ტრადიციებს, რომელსაც საქართველოს ამ დიდებულ ქალაქში დიდებული ადამიანებმა ჩაუყარეს საფუძველი.

თქვენ, ბატონო ავთანდილ, თქვენს მეგობრებთან და თანამაზრებებთან

ერთად არა ერთი თუ ორი ღირსეული წამოწყების ინიციატორი, სულის ჩამდგმელი და შემომქმედი ხართ და მომავალ თაობებს ჩინებული მაგალითი აჩვენებთ. აქ სრულად გამოჩნდა თქვენი ქართველობა და მამულიშვილობა, თქვენი ღირსებები და შესაძლებლობები.

მინდა გულითადად მოგილოცოთ სახელოვანი იუბილე და აღვნიშნო, რომ გულწრფელად გისურვოთ ჯანმრთელობა, ბედნიერება, საინტერესო და ნაყოფიერი შემოქმედებითი ცხოვრება.

ფილხაზ ნანიკაშვილი  
საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების მდივანი

### ბატონ ავთანდილ ნიკოლეიშვილს

ბატონო ავთანდილ, კიდევ ერთხელ მიიღეთ ჩვენი გულთბილი სალამი, კეთილი სურვილები თქვენს საიუბილეო დღეებში. დღემდე წარუშლელი და ძლიერია შთაბეჭდილება, რომელიც თქვენი პიროვნებით მივიღეთ, როცა მშობლიურ ქუთაისში ჩვენი შეუღლებიდან 35 წლისთავის აღსანიშნავ ზეიმზე ჩვენს ძვირფას სტუმართა შორის თქვენც ბრძანდებოდით. ჩვენ მოვიხიბლეთ თქვენი სიღრმისეული აზროვნებით, ბუნებრიობით, სისადავითა და საოცარი კეთილმოსურნეობით. გული დაგვწყდა, რომ ჩვენი შეხვედრა ხალხოკლე იყო. ვიმედოვნებთ, ჩვენი ურთიერთობა გაგრძელდება ბელგიასა თუ საქართველოში.

გილოცავთ საზეიმო თარიღს, კვლავაც მრავალი ზეიმი გაგთენებოდეთ! უდიდესი პატივისცემით ცისო ნანიკაშვილი, ალბერტ ფიჩხაძე. ანტვერპენი.

ცისო ნანიკაშვილი  
ალბერტ ფიჩხაძე  
ბელგია

## ახალი სივრცე

ავთანდილ ნიკოლეიშვილი ქართველი ინტელიგენტის ტიპურ განსახიერებად მიმაჩნია. იგი ატარებს ყველა იმ თვისებას, რითაც ამ ერის უკეთესი შვილები ხასიათდებიან: ტოლერანტული ბუნების ადამიანი, რომელმაც შრომის კულტურით, რაციონალიზმით, მოვალეობისადმი პატიოსნური დამოკიდებულებით შექმნა ჩინებული მოღვაწე ავთანდილ ნიკოლეიშვილი. ამდენად, იგი გვევლინება იმ ქართველთა ტრადიციების გამგრძელებლად, რომლებიც ქმნიდნენ უხმაურო ქართველი მოღვაწის ფენომენს.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი ყოველთვის იყო ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ღირსეული წარმომადგენელი, მაგრამ მისი შემოქმედების ერთი სფერო განსაკუთრებულ ადგილს დაუმიკვიდრებს ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში — მხედველობაში მქვს ქართული სიტყვიერების ებრაული ფენომენის, ებრაული ეროვნების ქართველ მწერალთა კვლევა. ამ თემაზე არა ერთ ქართველ მწერალს, კრიტიკოსს უწერია, მაგრამ ა. ნიკოლეიშვილმა ეს საკითხი მეცნიერული კვლევის საგანი გახადა. დავით და გერცელ ბააზოვების, ჩემს შემოქმედებისადმი მიძღვნილი (დარწმუნებული ვარ წინ არის შრომები ქართული მწერლობის ებრაული ეროვნების სხვა ჩინებულ წარმომადგენლებზე) ავთოს თავის ადგილს უმიკვიდრებს ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში. ამით მან ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ახალი სივრცე გახსნა. ამ თემაზე შექმნილ მის ნიგნებს ვერცერთი მკვლევარი ვერ აუქცევს გვერდს.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი გახლავთ საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების დასავლეთ საქართველოს განყოფილების პრეზიდენტი. ჩვენ არც კი ვიცით, როგორ ახერხებს ამ საზოგადოების დასავლეთის რეგიონის მშენიერი ჟურნალის — "ნოსტალგის" გამოცემას. იმას კი ვხედავთ, რომ ამ ბულვარულ, ჭრელა-ჭრულა, შიშველი ქალების ჟურნალ-გაზეთების ბუმის ეპოქაში, იგი გამოსცემს სერიოზულ, შემოქმედებითი ხასიათის ჟურნალს, რომელიც წარმოგვიჩენს მრავალი საუკუნის ქართულ-ებრაული ურთიერთობის რაობას.

გურამ ბათიაშვილი

რას ვკითხულობთ  
ამ კვირაში?  
რუბრიკას უძღვება  
საქართველოს მთავარი რაბინი  
არიელ ლეჰინი

# ჰააზინუ



მოშე რაბინუმ სიკვდილის დღეს "ჰააზინუ" იძღვრა. ამ სიმღერაში ნანინას-ნარმეტყველებია ებრაელი ხალხის მომავალი. საუბარია გამჩენთან დადებული ალტკემის შემთხვევაში განსაზღვრულ სასჯელზე და იმაზე, თუ როგორ გაუსწორდება გამჩენი მათ, ვინც რაიმე ზიანს აყენებდა ებრაელებს გალუთში.

მეოთხეა.

პირველი ჰომინი ადამა გან-ედევში ნარმოსტქეა და მასში შაბათის სიდიადეს უძღვნა ქება-დიდება.

მეორე სიმღერა მოშე რაბინუმ და ისრაელის შეილებმა იამ სუფთან (ნითელ ზღვასთან) ფარაონის არმიისაგან სასწაულებრივად გათავისუფლების შემდეგ იმღერეს.

მესამე სიმღერა გახლდათ მირიამის ჭის ქება-დიდება.

მეოთხეა ზემოთხსენებული "ჰააზინუ."

მეხუთე სადიდებელი ჰომინი იეჰოშუამ ემოელებთან ბრძოლის დროს იმღერა, მაშინ როცა მან შეძლო მზის შეჩერება.

მეექვსე იმღერეს დებორამ და ბარაკმა მაშინ, როდესაც გამჩენმა მათ ხელში ჩაუგდო მტერი, ამით შორის სისრაც იყო.

როდესაც ხანამ შვილის მრავალი წლის მოლოდინის შემდეგ შუეული გააჩინა, მანაც ადიდა გამჩენი ნინასნარმეტყველური სიმღერით.

სიცოცხლის ბოლოს დავიდ ჰამელმა მტრებისაგან გადარჩენის სამადლობლად

შეთხზა გამჩენის სადიდებელი სიმღერა.

მეფე შლომომ კი სიმღერათა სიმღერა – "შირ ჰაშირიმ" უძღვნა გამჩენს.

მეათე სიმღერას შეასრულებენ ებრაელები დღევანდელი განდევნიდან განთავისუფლების შემდეგ.

"ჰააზინუ"-ს პირველ ნაწილში მოშე რაბინუს ზეცა და დედამინა მონებებად მოჰყავს იმის დასადასტურებლად, რომ გააფრთხილა ებრაელები, დაიცვან თორა.

რატომ მოიყვანა მოშემ მონებებად ზეცა და დედამინა? ჯერ ერთი იმიტომ, რომ ზეცა და მინა ყველა თაობისათვის არსებობს, თორაც ხომ ყველა თაობისათვისაა.

მისი მეორე მიზეზი კი ისაა, რომ მონებები სჯიან ცოდვით (მათ, ვინც არ დაიცავენ თორას). ასევე დასჯიან მათ ზეცა და დედამინა, ერთი არ მისცემს მათ წვიმას, მეორე კი – ნაყოფს. და ბოლოს, თავად ზეცისა და დედამინის არსებობა დაკავშირებულია ებრაელთა მიერ თორის მცენებების შესრულებასთან.

"ჰააზინუ"—ში თორა შედარებულია წვიმასა და ცვართან. რატომ?

- როგორც უწყლოდ, ასევე თორს გარეშე, შეუძლებელია სამყაროს არსებობა.
- როგორც წვიმა მოდის ზემოდან, ასევე თორას ვლებულობთ ზეციდან.
- წყალი ეს ძირითადი გამწმენდი საშუალებაა, ასევე თორა განწმენდს და ააბალებს მათ, ვინც სწავლობს და იცავს

მას "ზეცის სახელზე".

- წვიმა არ ქმნის ახალ მცენარეებს, მაგრამ ეხმარება მათ განვითარებაში, ასევე თორა, რომელიც განვითარებს ადამიანის სულს.
- ებრაელი არასოდეს იღლებათორის სწავლით. ისევე, როგორც თევზი დაულაღვად ისრუტავს წვიმის ყოველ წვეთს, ადამიანიც სწავლისას მოწყურებულია თორის სულ ახალ-ახალ ახსნას.

რატომ ადარებენ თორას ცვარს? წვიმა ყოველთვის არ გვახარებს. მგზავრთათვის ის არც თუ სასურველია, შეუძლია ავნოს ღვინის მომზადებებს. იმისათვის, რომ არ ვიფიქროთ თორასაც შეუძლია ჩვენი ცხოვრებისათვის ზიანის მიყენება, მოშემ დაამატა, რომ თორა ცვარსაც ნააგავს. ყველას უხარია ცვარის ჩამოსვლა, ასევე ახარებს თორა ყველას.

მოშე რაბინუ იეჰოშუასთან ერთად ასწავლიდა ხალხს სიმღერას "ჰააზინუ". იმავე დღეს ის ავიდა ნეგოს მთაზე, რათა თვალის გადახედოს ისრაელის მიწისათვის. ის ხომ ისრაელის მიწაზე ვერ შევიდა იმ შეცოდების გამო, რომელიც მან კლდისაგან წყლის მიღებისას ჩაიღინა, როცა ხალხის მიერ წყლის დაჟინებით მოთხოვნა არ დააკმაყოფილა ისე, როგორც მას გამჩენმა უბრძანა.

სიცოცხლის ბოლო დღეს მოშე რაბინუმ ყველა ტომი ცალ-ცალკე დალოცა. მომდევნო თავში „ ეს დალოცვა" აღწერილი.

## "სოხნუის" საახალწლო მილოცვა



28 სექტემბერს სოხნუთში სოხნუის თბილისის წარმომადგენლობას ბევრი ცნობილი პირი ეწვია. ამ დღეს გაიმართა ებრაული სააგენტოს — სოხნუის მიერ გამოცემული ებრაული კალენდრის პრეზენტაცია. დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა სოხნუის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა ბატონმა ბრიგორი ბრძღს-კიმ:

— მოგესალმებით ყველას. ბედნიერი ვარ თქვენი სტუმრობით. ჩვენ ახალ წელს ყოველთვის გრანდიოზული ზეიმით ვხვდებით, მაგრამ ახლა, საქართველოში შექმნილი ვითარების გამო, აქ, სოხნუის შენობაში ვეგებებით ახალ წელს. გილოცავთ ყველას. ეს ახალი წელი ყოფილიყო ბედნიერების მომტანი. შანა ტოვა!

საქართველოს ებრაელობას ახალი წელი მიულოცა ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ბატონმა იცხაპ ბერბერამ:

— დიდი მადლობა მოწვევისათვის. ეს ჩემთვის დიდი პატივია. ახალი კალენდარი — ეს ახალი წელია. გისურვებთ ბედნიერ წელს.

ბატონმა ელჩმა წაიკითხა ისრაელის პრეზიდენტის ბატონ შიმონ პერესის მისალმება:

— ისრაელი პატარა ქვეყანაა დიდი რესურსის გარეშე. ჩვენ, ებრაელებმა, შევქმენით შეგვენარჩუნებინა ეროვნული რესურსი. ჩვენ უნდა, და ვალდებული ვართ, დავიცვათ ებრაელობა ასიმილაციისგან. ჩვენთვის მთავარია დავიცვათ კავშირი ებრაელებთან ისრაელში და მის გარეთ.

მთავარი რაბინის მოვალეობის შემსრულებელი საქართველოში ავიმელხ როზენბლადი:

— დიდი მადლობა მინდა გადავუხადო „სოხნუის" ორგანიზაციას მოწვევისათვის. გილოცავთ რომ ჰააზინას.

გაზეთ „მენორას" რედაქტორი, მწერალი გურამ ბათიაშვილი:

საზოგადოებას ახალი წელი მიულოცეს მწერალმა გურამ ბათიაშვილმა, კალათბურთის კლუბ

„მაკაბის" პრეზიდენტმა ჯანმელტ ხუბაშვილმა, თსუ კულტურის ისტორიის კათედრისა და იუდაიკის

კაბინეტის ხელმძღვანელმა ბურამ ლორთქიფანიძემ, ქართველ-ებრაელთა ბეთ-ქნესეთის გაბაიმ

შაპლა კოსაშვილმა, ებრაული სახლის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ რეჰა ჰაბაშვილმა, პროფკავშირულმა

მოღვაწემ დანიელ დავითაშვილმა, ებრაული ბაგა-ბაღის ხელმძღვანელმა

სვეტილ ხახშიშვილმა, გ. ბროდსკიმ და სოხნუის მუშაკმა ლეპ სამოქსაიმ ისაუბრეს 40 ლტოლვილი

ბავშვის ისრაელში სტუმრობაზე. იქვე აჩვენეს კლიპი რომელიც გადაღებულია ისრაელში.

მოზარდებმა შეკრებილთ გაუზიარეს ისრაელში ნანახისა და განცდილის შთაბეჭდილებები.

სალამო ბოლოს ბატონი გრ. ბროდსკი სასმელით გაუმასპინდლა მოწვეულ სტუმრებს.

სოფო ძანაშვილი

## ოლმერტმა გადადგომა გამოაცხადა

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ეჰუდ ოლმერტმა თხოვნით მიმართა ქვეყნის პრეზიდენტს შიმონ პერესს გადადგომის თაობაზე. ოლმერტი იერუსალიმში ისრაელის პრეზიდენტის რეზიდენციას ესტუმრა, რათა პირადად გადაეცა წერილი.

— ეს არ არის უბრალო გადაწყვეტილება და დარწმუნებული ვარ, ეს საღამო მისთვის რთულია. — აღნიშნა პერესმა ოლმერტთან შეხვედრის შემდეგ.

მე მინდა ვისარგებლო არსებული მდგომარეობით და მადლობა გადავუხადო პრემიერ მინისტრს იმის გამო, რომ იგი ამ წლების განმავლობაში ემსახურებოდა ხალხს და ქვეყანას, როგორც იერუსალიმის მერის, სამთავრობო მინისტრისა და ისრაელის პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე.

პერესი შეხვდა პარტიების ლიდერებს. საგარეო საქმეთა მინისტრს — ციპი ლივინის მისცა მითითება. 48 დღის განმავლობაში ჩამოაყალიბოს ახალი კოალიცია.

ოლმერტმა 21 სექტემბერს მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე გააკეთა ოფიციალური განცხადება გადადგომის თაობაზე.

— უნდა გითხრა, რომ ეს არც უბრალო და არც ადვილი გადაწყვეტილებაა ჩემთვის. მე ვფიქრობ, ყველაფერი გავაკეთე მთელი პასუხისმგებლობით და პირობის შესაბამისად, რომელიც შევფიცე ისრაელის საზოგადოებრიობას.

ოლმერტმა გამარჯვება მიულოცა ლივინის და შეპირდა, რომ გვერდით დაუდგებოდა ახალი მთავრობის დაკომპლექტებაში. ოლმერტი ამჟამინდელ კაბინეტში დარჩება მანამ, სანამ არ ჩამოყალიბდება ახალი კოალიცია და თუ არ მოხდება ამ კოალიციისთან შეთანხმება, მაშინ იგი თანამდებობას არჩევნებამდე შეინარჩუნებს.



## ეპრაჰიის კონგრესი გვატყობინებს: თემურ საპირის შეფუთვით

რომ ჰააზინის წინ ქალაქ უმანში (უკრაინა) ჩავიდა ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტი ალექსანდრე მაშკევიჩი. სადღესასწაულოდ ამ ქალაქში ტრადიციულად მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან თავი მოიყარა ათასობით ხასიდმა, რაბინმა და რელიგიურმა ლიდერმა, რათა თაყვანი ეცათ ბრესლაველი რაბი ნახმანის საფლავისათვის. ხასიდური წმინდა ადგილების მოსახლეობის მიზანშეწონილად ამ ქალაქში ყოველ წელიწად ჩადის რაბი ნახმანის უამრავი თაყვანისმცემელი. წელს კი თაყვანისმცემელთა რიცხვმა არნახულ მასშტაბებს მიაღწია. რომ ჰააზინის დღეებში უმანი მსოფლიო პრესის და საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში მოექცა.

ასეთი ყურადღება განპირობებული გახლდათ იმით, რომ ალ. მაშკევიჩის აქტიური მონაწილეობით დადებითად გადაწყდა ის სკანდალური სიტუაცია, რომელიც უდიდესი ხასიდური წმინდა ადგილის — რაბი ნახმანის აკლდამის ირგვლივ იყო ატეხილი. საქმე იმაშია, რომ შესაძლებელი იყო აკლდამა და მის მიმდებარე ტერიტორია გადასულიყო არაებრაელი მოიჯარაღების საკუთრებაში, რომლებთანაც განზრახული ჰქონდათ შეეზღუდათ, ან სულაც გადაეკეტათ წმინდა ადგილას მისასვლელი გზა. ალ. მაშკევიჩმა სადაო ტერიტორია მოიჯარაღებისაგან გამოისყიდა და რაბი ნახმანის აკლდამა ბრესლაველ ხასიდებს გადასცა.

ხასიდური თემის და ებრაული სამყაროსათვის ამ უპრეცედენტო მნიშვნელობის მოვლენამ, ალ. მაშკევიჩი უმანში გამართული დღესასწაულის მთავარი გმირი გახადა. ხასიდი ლიდერების მიერ ალ. მაშკევიჩის საპატივცემლოდ გამართულ მიღებაზე ევრ-აზიის პრეზიდენტმა შეკრებილთ მიულოცა რომ ჰააზინა და ყველა ებრაელს მოუწოდა არ დაკარგონ ერთიანობის გრძნობა. ალ. მაშკევიჩმა დიდი მადლობა გადაუხადა ქართული წარმოშობის ამერიკელ მილიარდერს თემურ საპირს (სეფიაშვილს) თანამშრომლობისა და უმანის სინმინდეთა დაბრუნებისათვის განეული დახმარების გამო.

— ჩვენ გავაგრძელებთ უმანის ინფრასტრუქტურის განვითარებას, რათა ქალაქმა შეძლოს ყველა მომლოცველის მიღება — თქვა ალ. მაშკევიჩმა უმანის მერთან იური ბოდროვთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე.

ყოველ წელიწადს უმანში ჩამოდის უამრავი მომლოცველი, წელს რომ ჰააზინისთვის მხოლოდ ისრაელიდან უმანში ჩაფრინდა 100 სპეციალური ავიარეისი.



PUBLIC RELATIONS & MEDIA DEPARTMENT	
Euro-Asian Jewish Congress (EAJC)	Евро-Азиатский Еврейский Конгресс (ЕАЕК)
DEPARTMENT PO SVYAZM S OBSHCHENOST'YU I SMI	

ზინაროდე!

ლეონ გორელაშვილის ნათელი მოგავალი

როდესაც ადამიანს აქვს ისეთი შესაძლებლობები და პრომისმოყვარეობის უნარი, როგორც ლეონ გორელაშვილს, აუცილებლად მიადნევენ წარმატებას. — 20 წლის ლეონი 12 წელია ტატამზე დგას და უამრავ პრიზსაც იმსახურებს. ლეონ გორელაშვილის სპორტული ბიოგრაფია ძალზე დიდია, რასაც ავსებს მის მიერ მოპოვებული პრიზების ვრცელი სია. იგი საქართველოს საუკეთესო კარატისტა შორის "ოქროს კარატისტის" მსოფლიოს თასის ორჯონის მფლობელია, სამგზის მსოფლიო ჩემპიონი და პრიზიორია, ასევე ოთხჯერ ევროპის პირველობაზე, რამდენჯერმე საქართველოს ჩემპიონატებსა და საერთაშორისო ტურნირებზე გაიმარჯვა, იგი მსოფლიო და ევროპის მაქაბაიდების პრიზიორია, მანვე 36-ჯერ მიიღწია ნარმატებას რეგიონალურ და საკლუბო ტურნირებში. მისი პირველი სერიოზული წარმატება იყო 2001 წელი, როცა თბილისის ევროპის ჩემპიონატზე ოქროს და ვერცხლის მედლები დაიმსახურა. 2007 წელს ეროვნულ ჩემპიონატზე პირველი ადგილი აიღო, ირლანდიაში საბრძოლო ხელოვნებათა მსოფლიო თამაშებზე აბსოლუტურ წონით კატეგორიაში ვერცხლის მედალი დაიმსახურა. ესპანეთის ქალაქ ვალენსიაში, სადაც საქართველოს ნაკრებმა, wuko-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვეს, ლეონი პირად პირველობაში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. იტალიის ქალაქ რომში მაქაბაიდების საზეიმო აღლუმზე საქართველოს დროშა ლეონმა გამოიტანა, ამ ტურნირზე მსაჯების არაკომპეტენტურობის გამო გორელაშვილს მეორე ადგილი ერგო. ინგლისის ლია ჩემპიონატზე ლეონმა პირველი ადგილი მოიპოვა. მისი მიღწევები იმდენად დიდია, რომ ვაჟა დანელიას ნიგნში "სარბიელის მარბიელი" ლეონს ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავია.

ჩემპიონს გავესაუბრეთ:  
— ვარჯიში ხუთი წლიდან დავიწყე, ჩემი მწვრთნელი იყო ბესიკ ხუციშვილი, რომელიც არასოდეს არ შემიცვლია.

— გაიხსენეთ თქვენი პირველი გამარჯვება.

— 1997 წელს გაიმართა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი მიძღვნილი ტურნირი, სადაც პირველი ადგილი დავიკავე, მაშინ 9 წლის ვიყავი. ამის შემდეგ ძალიან ბევრ შეჯიბრში მივიღე მონაწილეობა და საერთო ჯამში ვარ მსოფლიო თასის მფლობელი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, საქართველოსა და საერთაშორისო ტურნირების მრავალჯობის ჩემპიონი.

— თუ შეგიძლიათ გაიხსენოთ, თქვენი პირველი ემოცია, როცა გამარჯვებულად დაგასახელებს?

— პირველად 9 წლის ასაკში მივიღე პრიზი, დეტალები ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ, რა თქმა უნდა, ძალიან გავიხარე. შეიძლება, მაშინ, კიდევ ვერ ვაცნობიერებდი კარგად, თუმცა, დღეს ნებისმიერი პრიზის მოპოვება, ეს იქნება პირადი, გუნდური, მსოფლიო, თუ სხვა ტურნირი, ერთნაირ სიხარულს მგვრის, იმიტომ, რომ ეს ყოველივე არის დაფასება იმ შრომისა, რასაც ყოველდღიურად ვხარჯავ.

— მამათქვენი თავადაა სპორტის ამ სახეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. რამდენად დიდია მისი როლი თქვენს წარმატებაში?

— მოხდა ისე, რომ ამ სპორტზე სიარული მამაჩემის ინიციატივით დავიწყე. მამა ახლაც ვარჯიშობს, მართალია, შეჯიბრებებზე აღარ გამოდის, თუმცა, ვარჯიშით ვარჯიშობს, როგორც ახერხებს.

— გარდა სპორტისა, რით ხართ დაკავებული?

— ვმუშაობ და ვსწავლობ, თან ვვარჯიშობ, ძალიან დატვირთული რეჟიმი მაქვს. დროის ფაქტორის გამო კლუბში ვარჯიშს ვეღარ ვახერხებ, ნაკრების ვარჯიშები არის ყოველდღე საღამოს საათებში და იქ ვარჯიშობ. ნაკრების მწვრთნელი არის კახა ბასილია. ვმუშაობ საქართველოს იუსტიციის საბჭოში, ვსწავლობ ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურაში.

— გვიამბეთ თქვენი ბოლო გამარჯვებების შესახებ.

— ბოლო შეჯიბრი ჩეხეთის ქალაქ პრაღაში გვქონდა, აქ გაიმართა კლუბური ევროპის ჩემპიონატი, ექვს კაციანი ჯგუფი საქართველოს სახელით გამოვდიოდით. ამავდროულად იყო ორთაბრძოლებიც. გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრები გავიდა მესამე ადგილზე, პირადში კი მე ავიღე პირველი ადგილი. ძალიან საინტერესო ფინალი გამოდგა, შეხვედრას უნგრელ უნორ ბასთან ვაგებდი, ბრძოლის დამთავრებამდე რამდენიმე წამით ადრე ანგარიში იყო ოთხით ორი და სულ ბოლო წამში სამქულიანი დარტყმა გავაკეთე და გავხდი ჩემპიონი.

— გარდა ამისა, 2008 წელს რა შეჯიბრებებში მიიღეთ მონაწილეობა?

— 2008 წელს ჩვენ ვიყავით დუბლინში, სადაც იყო მსოფლიოს საბრძოლო ხელოვნებათა თამაშები, ეს წმინდა კარატეს შეჯიბრებაა, ამ მიმართულებით ჩვენ არ გვივარჯიშია და წესით არც უნდა ყოფილიყო შედეგი სახარბიელო, თუმცა, საერთო ჯამში საქართველოს ნაკრებმა სამი მედალი მოიპოვა, აქედან ერთი იყო ჩემი, მე პირად ბრძოლაში მეორე ადგილი ავიღე.

— თუ გაქვთ სხვა ქვეყნიდან მიწვევა ან რაიმე სახის შემოთავაზება?

— საერთოდ, როცა შეჯიბრზე გავდივართ, ჩვენი შედეგებიდან გამომდინარე, ვექცევით ყურადღების ცენტრში. მოწვევები არის სხვადასხვა ქვეყნიდან, როგორც სპორტსმენებიდან, ისე მწვრთნელების მხრიდან, საუბარია სემინარებზე, თუმცა, მათი მოთხოვნაა, რომ შეჯიბრზე გამოვიდეთ მათი ქვეყნის სახელით, გარდა ამისა, არის კიდევ სხვა ფაქტორები, რადგან ამ ეტაპზე საქართველოდან წასვლას არ ვაპირებ, აქ ვმუშაობ, ვსწავლობ, ოჯახის წევრები აქ ცხოვრობენ, ამიტომ ნებისმიერი შემოთავაზება ჩემთვის მისაღები არ არის.

— მომავალში თუ შეიძლება მოხდეს ისე, რომ შეჯიბრზე გახვიდეთ სხვა ქვეყნის სახელით?

— არა მგონია. ასეთი რამ ნამდვილად არ მოხდება. თუ იქნება ისე, რომ სხვა ქვეყანა ჩაატარებს შეჯიბრს და საქართველო იქნება მიწვეული, ამ შემთხვევაში გამოვალ მხოლოდ.

— როგორც ვიცით, მუზეუმში სპეციალურად თქვენთვის გამოყოფილი იქნა ადგილი. იქნებ, გვიამბოთ ამის შესახებ უფრო დეტალურად?

— სპორტის დეპარტამენტში არის მუზეუმი, სადაც თავმოყრილია ქართველების მიერ მოპოვებული ძირითადი ჯილდოები. სპორტის დეპარტამენტი გამოვიდა ინიციატივით, რომ ერთი კუთხე გამოეყოთ კარატეს ჯილდოებისთვისაც, ანორედ იქ არის გერმანიაში ჩემს მიერ მოპოვებული მსოფლიო თასი. ნებისმიერ მსურველს შეუძლია მისი ნახვა და ისტორიის გაცნობა.

— რას იტყვით ვაჟა დანელიას ნიგნზე "სარბიელის მარბიელი"?

— ვაჟა დანელია საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სპორტული ჟურნალისტი. მისი ავტორობით ყოველ წელს გამოდის ნიგნი, სადაც თავმოყრილია საქართველოში ყველა ძირითადი და მნიშვნელოვანი სპორტული შედეგები და მათ შორის ჩემიც, კარატეს სახეობაში, ჩემი სახელი ყოველთვის არის ამ ნიგნში. ჩემთვის ყველაზე პროდუქტიული გამოდგა ეს ნიგნი, რადგან შარშან საკმაოდ ბევრ გასვლით შეჯიბრში მივიღე მონაწილეობა და ძალიან კარგი შედეგიც ვაჩვენეთ, რაზეც დანვრილებითაა საუბარი ბატონ ვაჟა დანელიას ნიგნში.

— ახლა ისევ მიდინართ ტურნირზე?

— 4 და 5 ოქტომბერს ბუქარესტში ტარდება ევროპის ჩემპიონატი WSKF - ის ვერსიით, ამ ვერსიით ჩემპიონატზე შარშან ჩვენ ვიყავით ტოკიოში, ოღონდ ის იყო მსოფლიო ჩემპიონატი. წლებადღე ტურნირს რაც შეეხება, ეს არის WSKF - ის ვერსია, ერთ-ერთი ყველაზე კონტაქტური კარატეა, სადაც არ არის არანაირი დამცავები, არ არის წონითი კატეგორია, არც ასაკობრივი ცენზები, არც ქამრის მიხედვით ცენზები, ანუ ყველა სპორტსმენი მონაწილეობს ერთ კატეგორიაში, შესაბამისად, მისი პრესტიჟიც გაცილებით მაღალია, ვიდრე სხვა შეჯიბრებების. საქართველოდან მივდივართ ათკაციანი გუნდი. შარშანდელი შედეგებით საქართველოს ნაკრები დიდად ვერ დაიკვებინს, მაშინ მე ავიღე მეოთხე ადგილი, წელს იმედი გვაქვს, რომ უკეთეს შედეგს ვაჩვენებთ.

— ვინ აფინანსებს ამ შეჯიბრებებზე თქვენს მონაწილეობას?

— ნაწილობრივ სამინისტრო, ნაწილობრივ კი საქართველოს სპორტის ფედერაციას ყავს სპონსორები, ძირითადი სპონსორია "ტაო ბანკი" და ხარჯების ანაზღაურება ხდება მათი მხრიდან.

— სამომავლო გეგმები?

— ნოემბერში იგეგმება მსოფლიო ჩემპიონატი ლოს-ანჯელესში და იქ, ალბათ, უფრო დიდი შემადგენლობით წავალთ,



რადგან ამ დროისათვის უკვე ორგანიზაციული და ფინანსური საკითხები უფრო დახვეწილი იქნება.

— იგეგმება თუ არა ოლიმპიადაზე კარატეს შეტანა და თუ მიიღებთ მონაწილეობას ოლიმპიურ თამაშებში?

— იქნება სალიცენზიო ტურნირები, სადაც მონაწილეობას მიიღებს ყველა ქვეყნის წარმომადგენელი და შესაბამისი მონაცემების მქონე გაიგზავნება ოლიმპიურ თამაშებზე, მაგრამ რამდენადაც ვიცი, უახლოეს ოლიმპიადაზე კარატეს შეტანა არ იგეგმება. ვნახოთ, ეს უკვე შორეული მიზნებია.

ასევე ვესაუბრეთ ლეონის მამას — ბატონ თამაზ გორელაშვილს:

— დაახლოებით ოცდაათ წელზე მეტია სპორტის ამ სახეობას ვემსახურები, სანამ კარატე შემოვიდოდა საქართველოში, კრივით ვიყავი დაკავებული. იმის შემდეგ რაც კარატე შემოვიდა, მხოლოდ სპორტის ამ სახეობით ვარ დაკავებული. ვარ მეოთხე დანის მფლობელი, სხვათაშორის, ლეონი მეორე დანის მფლობელია. კარატე კომუნისტური წყობილების დროს აკრძალეს და როცა მან კვლავ მოიკიდა ფეხი, მე უკვე 36 წლის ვიყავი. ამიტომ მთელი ჩემი ყურადღება ლეონზე გადავიდა. ლეონის მიღწევებით კმაყოფილი ვარ. გული მწყდება იმაზე, რომ ეს არ არის ოლიმპიური სპორტი, რადგან ჩვენთანაც და საერთოდ ყველგან, ოლიმპიურ ჩემპიონს უფრო დიდ ყურადღებას აქცევენ. სპორტი ადამიანში მეტროლოურ სულს ავიტარებს, ასე, რომ მე ყველას ვურჩევ დაკავდეს სპორტით და განსაკუთრებით კარატით, რადგან კარატეში არ არის განსაზღვრული ასაკი, მაგალითად ჩვენი შეფ-ინსტრუქტორი ჰიტოში კასუა 60 წლისაა და დღემდე ფანტასტიურ ფორმაშია.

— ლეონმა გაამართლა თქვენი იმედები, როგორ ხედავთ მის მომავალს?

— ლეონი ჯერ პატარაა, მაგრამ რა ტიტულებიც მას ამჟამად აქვს მიღებული, იშვიათია, რომ საქართველოში ვინმეს ჰქონდეს, გარდა ამისა, ლეონი სწავლობს და მუშაობს, რაც ძალზე მახარებს, რადგან ვთვლი, რომ ადამიანი არა მხოლოდ სპორტულად უნდა იყოს წარმატებული, არამედ განათლებულიც. ამ ეტაპზე ლეონმა ჩემი იმედები ნამდვილად გაამართლა. ჩემი უდიდესი სურვილია, რომ ლეონმა მთელი თავისი ცხოვრება ივარჯიშოს და იყოს ფორმაში.

თინათინ შანგალია

დამფუძნებელი და გამომცემელი: გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე თბილისი, ლეონიძის 11ა, ვახტანგ VI ქ. №30 ტელეფონები: 99.90.96, 77.20.57

რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ. რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი გურამ ბათიაშვილი

